საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 168 (2084)
სამშაბათი, 14 ნოემბერი, 1995 წელი.
ფასი 25 თეთრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ულოცავენ...

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სახელზე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან კვლავ მოდის მოსალოცი დეპეშები. 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მოულოცეს საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურმა წარმომადგენელმა ავსტრალიაში **შ. კოზმანაშვილმა**, საქართველოს წარმომადგენელმა სანკტ-პეტერბურგში **გ. კუხალაშვილმა**, ქართული სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარემ სანკტ-პეტერბურგში **ზ. კაკაბაძემ**, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურმა წარმომადგენელმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში **ნ. ბულიაშვილმა**, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა **ნ. პონომარიოვმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **ზ. წერეთელმა**, **ზ. კვაჭაძემ**, აბსოლუტბანკის დირექტორთა საბჭოსა და გამგეობის სახელით **გ. შანიძემ**, ამერიკის შეერთებული შტატების მიჩიგანის უნივერსიტეტიდან **ნ. ავალიანმა**, გაზეთ „მენორას“ გამომცემელმა და რედაქტორმა, მწერალმა **ბ. ბათიაშვილმა**, ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირის თავმჯდომარემ **ზ. ლუდუშაურმა**, აგრარული პარტიის თავმჯდომარემ **ზ. ღლონტმა**, გენერალურმა მდივანმა **ვ. მაღლაკელიძემ**, ბიუროს წევრებმა **ბ. პაპიძემ** და **კ. გიორგობიანმა**.

საქინფორმი.

5 ნოემბრის პრეზიდენტის არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებასთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტმა **ბორის ელცინმა** მოსალოცი დეპეშა გამოუგზავნა მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს **ედუარდ შევარდნაძეს.**

— დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია:

„**ძვირფასო** ედუარდ ამბროსის ძევ!

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხალხის არჩევანი ხელს შეუწყობს საქართველოში სტაბილურობისა და დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს, როგორც სუვერენული, ტერიტორიულად მთლიანი, მტკიცე სახელმწიფოს განვითარება შეესაბამება მოძმე რუსი და ქართველი ხალხების ძირეულ ინტერესებს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთისა და საქართველოს საუკუნოვანი ისტორიული კავშირი და ნაყოფიერი ურთიერთმოქმედება კვლავაც გაღრმავდება, ახალ ელფერს შეიძენს.

ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ, გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს უაღრესად ძნელ მოღვაწეობაში თქვენს პასუხსაგებ პოსტზე, ბედნიერებასა და კეთილდღეობას — საქართველოს ხალხს.

ბ. ელცინი.

მოსკოვი, კრემლი, 1995 წლის 8 ნოემბერი“.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკელი ელჩი

11 ნოემბერს ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი უილიამ კორტნი და მისი მოადგილე ლორენს კერი. მათ ამერიკის პრეზიდენტისა და ხალხის სახელით მიულოცეს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების წარმატებით მოწყობა, შემდეგ გაიმართა საუბარი საქართველო-ამერიკის ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე.

„ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის“

— **გასული** კვირა კვლავ 5 ნოემბრის არჩევნების განწყობილებით გამოირჩეოდა და დღევანდელი ინტერვიუც ამ თემით უნდა დავიწყო, არჩევნების მონაწილე 54 პარტიიდან და ბლოკიდან პარლამენტში მხოლოდ სამი პოლიტიკური ორგანიზაცია მოხვდა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ პარლამენტი უინტერესო, ერთფეროვანი და დუნე იქნება? თუ პირიქით: პარლამენტის მუშაობისადმი ნაკლები ყურადღება მინისტრთა კაბინეტის მიმართ კონტროლს გაზრდის და აქედან გამომდინარე ეკონომიკური პროცესებისადმი ინტერესიც გაიზრდება,.. ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** განაცხადა:

— მინდა ზოგადად გადავავლო თვალი გასული კვირის ცხოვრებას: ამჯერად ეკონომიკის სფეროს ნაკლებად შევეხები. ამ პრაქტიკას შემდგომ ინტერვიუში განვაახლებთ.

განვლილ კვირაში საზოგადოებრიობის ყურადღება უმთავრესად კვლავ არჩევნების შედეგების დაზუსტებისა და ანალიზისადმი იყო მიპყრობილი. დღეისათვის უკვე ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარება ახალ ფაზაში შედის, საქართველოში იქმნება ძლიერი აღმასრულებელი ინსტიტუტი ქვეყნის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. სახელმწიფოს მეთაურის დამაჯერებელი გამარჯვება კი იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მის მიერ განხორციელებული რეფორმების კურსს, კერძოდ, ეკონომიკის სფეროშიც, ქვეყნის შემდგომი განვითარების იმ ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, რომლებიც გაცხადებული იყო წინასაარჩევნო საპროგრამო გამოსვლაში. სხვათა შორის, ეს წინასაარჩევნო გამოსვლა მარტო საპრეზიდენტო პროგრამას არ მოიცავდა, ეს იყო ჩემეული გააზრება ახალი პარლამენტის როლისა და ადგილისა ქვეყნის აღმშენებლობის ამ გადამწყვეტ ეტაპზე. საპარლამენტო არჩევნების შედეგებიც პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის გარდაუვალი პროცესის შედეგია და კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვისაც უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივი მშენებლობის, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარებისათვის ესოდენ აუცილებელი ათასობით საკანონმდებლო აქტის მისაღებად. ცხადია, ხელისუფლება მზად არის კონსტრუქციულად და ნაყოფიერად ითანამშრომლოს პარლამენტის გარეთ დარჩენილ ყველა პარტიასა და მოძრაობასთან. აქ მაგალითისათვის ვიტყვი: მინდა განსაკუთრებით მივაპყრო ყურადღება — ინიციატივა ხელისუფლებიდან უნდა მომდინარეობდეს, ესე იგი, იგულისხმება თანამშრომლობა იმ ოპოზიციურ ძალებთან, რომლებიც პარლამენტში ვერ მოხვდნენ. იმასაც ვგულისხმობ, რომ სახელმწიფოსათვის სასარგებლო და საჭირო პიროვნებები (უწინარესად პროფესიონალები მყავს მხედველობაში), მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად, აუცილებლად იპოვნიან თავიანთ ადგილს. სწორედ საკითხისადმი ასეთი მიდგომა იქნება საერთო ინტერესების პირველი ნიშანი და არა პარტიულობის უმაღლეს პრინციპად აღიარება. სწორედ ასეთი მიდგომა იქნება სხვადასხვა ძალთა თანამშრომლობის პლატფორმაც. ამასთანავე, ჯანსაღი თანამშრომლობისათვის აუცილებელია ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალა მხარში ამოუდგეს ახლად არჩეულ ხელისუფლებას ახალი, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის მშენებლობაში, მით უმეტეს, რომ დღევანდელი ვითარება, განსაკუთრებით მოახლოებული ზამთრის პირობებში, გვავალდებულებს მთელი ყურადღება მწვავე ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაზე გადავიტანოთ.

ახლა მინდა გიპასუხოთ უშუალოდ კითხვაზე ხომ არ იქნება უსახური პარლამენტი, ხომ არ ნიშნავს ეს ვიღაცის დიქტატს პარლამენტზე და ასე შემდეგ.

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მაჟორიტართა კორპუსის გათვალისწინებით საკმაოდ ფართო სპექტრი იქნება წარმოდგენილი. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ დღევანდელ პარლამენტში სავსებით რეალურია ეგრეთ წოდებული კონსტიტუციური უმრავლესობის შექმნის პერსპექტივა, მოქალაქეთა არჩევანი, ჩემი აზრით, შემთხვევითი არ არის — ჩვენი მოქალაქე დღეს სხვაა, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ იყო. დღეს თითქმის ყველას ესმის, რომ უთავბოლო და უმიზნო დებატებით, გაუთავებელი კინკლაობით საქმეს ვერ გააკეთებ. დღეს მთავარია კანონშემოქმედება, სწორედ კანონშემოქმედების აქტიური პროცესი გახდება საფუძველი, რომელიც ქვეყანას აღორძინების გზაზე გაიყვანს.

ედუარდ შევარდნაძის 13 ნოემბრის რადიოინტერვიუ

უნდა ითქვას, რომ ჩვენ ყველამ, როგორც პრეზიდენტმა, ასევე პარლამენტის თავმჯდომარემ და კომიტეტებმა, პატივი უნდა ვცეთ კონსტიტუციის ყველა დებულებას, მის ყოველ სიტყვას. სწორედ კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნის მართვის წესს, პარლამენტისა და პრეზიდენტის ადგილს. ყოველგვარი გადახვევა და გადახრა, ყოველგვარი გამონაკლისი გამორიცხული უნდა იყოს.

რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებებს. კონსტიტუციის დებულების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, როგორც დროებითი მოვლენა, შეიძლება დელეგირებული იყოს გარკვეული უფლებები, მაგრამ ეს მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში უნდა ხდებოდეს, ამავე დროს, პარლამენტის კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი ეფექტიანი იქნება საქმის ინტერესების გათვალისწინებით და არა ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. მე სწორედ ასე წარმომიდგენია. ვფიქრობ, ჩვენ გვეძლევა უნიკალური შანსი, შევქმნათ პარლამენტისა და პრეზიდენტის თანამშრომლობის ეფექტური მოდელი, რომელიც მომავალ თაობებს, შეიძლება ითქვას, ეტალონად გამოადგებათ.

ვიცი, რაოდენ რთული მუშაობა მიმდინარეობს ახლა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. მოგეხსენებათ, რომ იქ წარმოდგენილია თითქმის ყველა პარტია, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდა, წარმოდგენილია არჩევნებში პრეზიდენტობის ყველა პრეტენდენტი. ასე რომ, კომისიაში ძალიან რთული შემადგენლობაა და შედეგებიც ყველასათვის ერთნაირად მისაღები არ არის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შედეგების შეჯამება და, თუ ისინი საფუძვლიანია, მათი დაკანონება პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. მართალია, ახლა ხელისუფლების ვაკუუმი არ არის, მაგრამ ბუნებრივია, რომ ჯერ ბევრი რამ გასარკვევია, — როგორი იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების საბოლოო სტრუქტურა, როგორი იქნება პარლამენტი, რა ძალები ჩაუდგებიან სათავეში კომიტეტებს, დამტკიცებულია ბიუჯეტი, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად, წინასწარ უნდა იყოს განხილული შესაბამის კომიტეტებში (ჩვენ გვინდა, რომ მიმდინარე წელს შევძლოთ ეს) და მრავალი სხვა, აღარაფერს ვამბობ მინისტრების დამტკიცებაზე. ამიტომ, ძალიან სასურველია შედეგების დაკანონება საარჩევნო კანონის საფუძველზე კონსტიტუციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

— კიდევ ერთი შეკითხვა არჩევნებთან დაკავშირებით: გასული სამი წელი საქართველოსათვის უმძიმესი წლები იყო. არ გადაწყვეტილა ცხინვალის პრობლემა, ოკუპირებულია აფხაზეთი, ამას ემატება ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ეკონომიკური სიდუხჭირითაც აღინიშნა, მრავალი სამუშაო ადგილის დაკარგვა, სიმბოლური ხელფასები, იმედგაცრუება და ასე შემდეგ. და, რაც მთავარია, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ამას უძღოდა გარკვეული პიროვნებების მიერ გამოთქმული ბევრი პრეტენზია თქვენი, როგორც უმაღლესი ხელისუფლის მიმართ, იმ კურსის მიმართ, რომელსაც თქვენ ახორციელებთ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 75 პროცენტმა თქვენ მოგცათ ხმა და გვერდში დაგიდგათ, რით ახსნით ამას? როცა თქვენ 1992 წლის 7 მარტს საქართველოში ჩამობრძანდით, მაშინ ქვეყანა სხვა იყო, ხალხი ერთგვარი ისტერიის ზღვარზე იყო მისული, რადგან ნახეს ეს უბედურება და გაჭირვება, ბოლო წლებმა რომ მოიტანა საქართველოში. შესაძლოა ზოგიერთებს ბოლომდე არც კი ჰქონდათ გააზრებული ის, რომ შევარდნაძე აირჩიეს, მაგრამ ეს იმედის ერთგვარი ნაპერწკალი იყო, რომელიც მაშინ გამოჩნდა გაჭირვებულ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმატორული ხელისუფლება ხშირად საერთოდ არ სარგებლობს პოპულარობით, თქვენ არჩევნები დიდი პროცენტით მოიგეთ. რა მიგაჩნიათ ამის უმთავრეს მიზეზად?

— რა თქმა უნდა, მე ბევრს ვფიქრობ ჩვენი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე. ძალიან ზოგადად გიპასუხებთ (ალბათ, მომავალ გამოსვლებში კიდევ დავუბრუნდებით ამ საკითხს). პრეზიდენტის არჩევანი, რომელიც ჩვენმა მოქალაქეებმა გააკეთეს, ასე მგონია, მათი მხრივ რთული ანალიზისა და გააზრების შედეგია. თქვენ სავსებით მართალი ხართ: კანონზომიერად ისმება კითხვა, რატომ ისევ შევარდნაძე, რატომ არ მოვსინჯოთ სხვა ვარიანტი? იქნებ უკეთ ვიცხოვროთ, იქნებ მალე გამოვიდეთ კრიზისიდან? აქ საქმე ისაა, რომ საქართველოს მოქალაქენი დაბრძენდნენ, საკმაოდ ღრმად ერკვევიან შექმნილ ვითარებაში. საქართველოში მოგზაურობისას დავრწმუნდი, რომ მათ დღევანდელი მდგომარეობისა და

(დასასრული მე-2 გვ.)

მერვე სვეტი

მოქცევა

მკითხველმა მიიღო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ბარამიძის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატების ირაკლი ბრაჭულისა და თემურ ფიფიას წიგნი „ედუარდ შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში“.

წიგნი მოგვითხრობს ქვეყანაში პოლიტიკური აზროვნების თავგადასავალს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. ავტორები ცდილობენ გაიაზრონ ედუარდ შევარდნაძის ფენომენთან ძირეულად დაკავშირებული ახალი პოლიტიკური მენტალიტეტის დამკვიდრების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. მათი აზრით, 1992 წლიდან, ესე იგი, ედუარდ შევარდნაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოში დაიწყო ახალი პოლიტიკური დრო. მისი სპეციფიკა აღარ არის რევოლუცია და გარდაქმნა, ეს უკვე მოქცევაა. წიგნის მიზანია, გამოარკვიოს და გააშუქოს სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში მოქცევის საზრისი. იგი განკუთვნილია ქართულ პოლიტიკურ აზრთა წყობითა და კულტურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

თამარ მოლაშვილი,
საქინფორმის კორ.

იუნესკოს იუბილეზე

16 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე იუნესკოს 50 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით პარიზს გაემგზავრა. ამ საზეიმო ფორუმზე დაგეგმილია მისი გამოსვლა სხდომაზე და შეხვედრები იუნესკოს ხელმძღვანელობასთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

რომელი ვარიანტი ავირჩიოთ?

მიწის შესახებ კანონის სამი ვარიანტი შემოგვთავაზა მსოფლიო ბანკმა საქართველოსათვის. ერთი მათგანია ალბანური, რომელიც, მიაჩნიათ, თავისი პარამეტრებით ყველაზე უფრო უახლოვდება საქართველოს პირობებს. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, კანონის პროექტის შედგენის დროს, შეიძლება ორი სხვა ვარიანტის — რუსული და შუააზიური ვარიანტების გამოყენება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში იქმნება ამ წინადადების შემსწავლელი ჯგუფი.

შეჯამდა სწავლება-სემინარის შედეგები

დასრულდა თავდაცვის სამინისტროს ბრიგადებისა და ცალკეული ბატალიონების მეთაურთა სამდღიანი სწავლება-სემინარი, რომელზეც სამხედრო ხელმძღვანელებმა და ჯარების სახეობათა სარდლებმა წაიკითხეს ლექციები, შეაჯამეს წლის შედეგები, გამომსვლელებმა ყურადღება მიაპყრეს არმიის ფინანსურ პრობლემებს და აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებს, ნაწილების არასაკმარის აღჭურვილობასა და ზამთრისათვის არადამაკმაყოფილებელ მომარაგებას, კვალიფიციური ოფიცრების ნაკლებობასა და ჯარისკაცთა დაბალ მომზადებას.

სწავლება-სემინარის შედეგები შეაჯამა თავდაცვის მინისტრმა.

დასასრულს, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებსა და ნაწილების მეთაურებს წარუდგინეს სხვადასხვა სეზონის სამხედრო ფორმის ახალი ნიმუშები, რომლებმაც მოწონება დაიმსახურეს.

გურამ სოზაშვილი,
საქინფორმის კორ.



ნახევარი საუკუნე მარადისობის ფერხულში

ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ეროვნული ბალეტის საიუბილეო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში

იუბილე

ერთ-ერთ არც თუ დიდი ხნის წინათ მიცემულ ინტერვიუში ქალბატონმა ნინო რამიშვილმა განაცხადა: „როცა ანსამბლს ვქმნიდით, არც მე, არც ილიკოს წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ გავარღვევდით „რკინის ფარდას“ და როდესმე საზღვარგარეთ გავიტანდით ჩვენს ხელოვნებას“.

თვით ბატონ ილიკოს, რომელმაც თავის პირმშოს „ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი“ უწოდა და მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა, არ ჰქონია იმის პრეტენზია, რომ საუკუნეთა წიაღში შექმნილ ხალხურ ცეკვებს საკუთარი შტრიხებით გაამდიდრებდა...

უზარმაზარი სცენა მთლიანად დაფარული იყო ანსამბლის ნახევარსაუკუნოვანი საკონცერტო მოღვაწეობის ამსახველი აფიშებით. უბრალო, ომისშემდგომი გაჭირვების წლებში დაბეჭდილი აფიშებიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ენებზე მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულ აფიშებამდე — ეს მეტყველი ისტორია იყო იმისა, თუ როგორ გასცდა ანსამბლი საბჭოეთის კორდონს, რა შორს გაიტანა ქართული ხელოვნების სახელი.

რაც შეეხება ბატონ ილიკოს მიერ საავტორო ბალეტის შექმნას, ეს საღამოზე არა თუ ითქვა, არამედ ანსამბლის მიერ შესრულებულმა ცეკვებმა დაადასტურეს. მან ქალბატონ ნინო რამიშვილთან, განუყრელ პარტნიორთან და ცხოვრების ერთგულ თანამგზავრთან ერთად, სათავე დაუდო ხელოვნებას, რომელიც აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა ერთგულად ემსახურება მშობლიურ ხალხს და მარადისობის ფერხულში ჩაება. ამ ორი შემოქმედის სახელი უკვდავია და სამუდამოდ შევიდა ქართული ეროვნული ხელოვნების ისტორიაში.

საღამო კოტე მახარაძემ გახსნა. მან ანსამბლს კეთილი სურვილები გადასცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

პოლიეკრანმა გააცოცხლა წარსულის კადრები. აი, ბატონი ილიკო და ქალბატონი ნინო თავდავიწყებით მისცემიან საყვარელ ცეკვას. აი, ყველასათვის ცნობილი კადრები კინოფილმებიდან: „ელისო“, „ქეთო და კოტე“, აი, მათ მიერ უბადლოდ შესრულებული „ქართული“. უეცრად კინოკადრების ფონზე სცენას „არღვევს“ დღევანდელი ანსამბლი და მისი მთელი შემადგენლობა ასრულებს იუბილესათვის სპეციალურად დადგმულ მასობრივ ცეკვას „ქართული“.

შემდეგ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ კულტურის სამინისტროს, მინისტრთა კაბინეტის, მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირების, რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინომსახიობის, ოპერის თეატრების, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, ანსამბლების, „რუსთავი“, „მხოლოდ შენ ერთს“ წარმომადგენლები, ცნობილი ქართველი ხელოვნების მოღვაწეები და შემსრულებლები. თავიანთ მისალმებებში ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ანსამბლის ღვაწლს ერის წინაშე, ახალ წარმატებებს უსურვებდნენ კოლექტივს, რომელიც უკვე მთელს მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს.

კვლავ ინთება პოლიეკრანი. ქალბატონი ნინო რეპეტიციას ატარებს. ყველასათვის მისაწვდომი, სათნო ქალბატონი, ჰაეროვანი მოცეკვავე, რკინის ლედად გადაიქცევა. მისთვის არ არსებობს სხვა რამ. მხოლოდ და მხოლოდ სწორად გაკეთებული ილეთი და ამისათვის მზად არის თვითონაც ეწამოს და სხვაც „მოაქციოს“. თავის დროზე ბატონი ილიკო აღნიშნავდა: ნინოს დამსახურებაა, რომ ანსამბლში წესრიგი და მტკიცე დისციპლინა სუფევს, რომ რეპეტიცია მაღალ დონეზე აყვანილი რიტუალიაო, ანსამბლის ცხოვრების ეს მხარე მე არ მეხება, ეს ნინოს საქმეაო...

შემდეგ სცენა ანსამბლმა დაისაკუთრა, ანსამბლმა, რომლის ყოველი წევრი დახვეწილი ხელოვანი და მოცეკვავეა, ანსამბლმა, რომელიც დიდი ხანია აკადემიური და მსოფლიოში აღიარებული გახდა. ყველა ვინც კი ამ შესანიშნავ საღამოს დაესწრო, კიდევ ერთხელ ეზიარა „სუხიშვილელთა“ მაღალ ხელოვნებას, სიამაყის გრძნობით განიმსჭვალა მშობლიური ქორეოგრაფიული ხელოვნების სიმდიდრით, სიდიადით, მასშტაბურობით.

სცენაზე არიან ნინო და ილიკო სუხიშვილები, დიახ, არ შევმცდარვართ, ნინო და ილიკო — თენგიზ სუხიშვილის ქალ-ვაჟი, სახელოვანი ბებიისა და ბაბუის სეხნიები, მათი ხელოვნების შესანიშნავი გამგრძელებლები, დარბაზმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ისინი, ვინც თაობათა მემკვიდრეობის ცოცხალი დასტური იყო.

აქ უმცროსმა ნინომ თვით განაცხადა: სანამ ერთი სუხიშვილი ივლის ამ ქვეყანაზე, ცეკვა იქნება მისი ცხოვრების არსიო.

სცენაზე გამოვიდნენ ანსამბლის მსახიობები — გრიმის, ქართული ეროვნული სამოსელის გარეშე. ასე ერთბაშად თავშეყრილი იშვიათად თუ უნახავს ისინი მაყურებელს, რომელმაც კვლავ და კვლავ ტაშით გამოხატა მადლიერება.

საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიულოცა ანსამბლის ხელმძღვანელებს და წევრებს სახელოვანი თარიღი და ახალი წარმატებები უსურვა.

ლამარა გაგუა,
საქინფორმის კორ.

„ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის“

(დასასრული)

დღევანდელი პოლიტიკის ყველა ნიუანსი ესმით და, რაც მთავარია, ძალიან კარგად ესმით ის, თუ რის გაკეთება შეიძლებოდა და რა აღემატებოდა ხელმძღვანელის შესაძლებლობებს. მოსახლეობამ ისიც გაითვალისწინა, რომ ამ სამი წლის წინათ, პრაქტიკულად, სახელმწიფოს ნასახიც არ არსებობდა, რა ვიყავით სამი წლის წინათ.. დღეს ასე თუ ისე, სხვა დონეზე ვართ. შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა მარტო იმედებზე, არამედ რეალურ ძვრებზე, რეალურ ფუნდამენტზე, რომელზეც ახალი, დემოკრატიული და ძლიერი ქვეყანა აშენდება. ყველას ერთად კი, მე ასე ვიტყოდი, ყველას ერთად უზენაესმა ჩაგვაგონა და მან შემოგვაბრუნა სწორი და რეალური გზისაკენ. ჩაგვაგონა ის, რომ ილუზიებით ცხოვრება აღარ შეიძლება, უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ვიმოქმედებთ და ვიმუშავებთ. სწორედ ეს გზა მიიყვანს ქვეყანას გამთლიანებასა და გაერთიანებამდე. დღეს უკვე შეიძლება ლაპარაკი როგორც შინაო, ისე საგარეო ფაქტორების მომწიფებაზე ქვეყნის ყველაზე საარსებო და უმწვავესი პრობლემების გადასაწყვეტად.

კიდევ ერთი რამ: მოსახლეობამ უკუაგდო ყოველგვარი პოპულიზმი, დემაგოგია, უკიდეგანო კრიტიკანობა და აჯობინა მართალი და მკაცრი სინამდვილე. კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის ურთულესი, მაგრამ ყველაზე რეალისტური პროგრამა, რომელიც შევთავაზე მე ყოველგვარი შელამაზებისა და შერბილების გარეშე.

ასეთია ძალიან ზოგადად ამ რთული მოვლენის ჩემეული ახსნა.

— თქვენ ილაპარაკეთ გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ პარტიებსა და მათთან შესაძლო თანამშრომლობაზე. გარკვეული ორგანიზაციების მხრიდან მოწოდებაც კი გაისმა, რომ ქუჩიდან დაამხონ ხელისუფლება, თუმცა შემდეგ, ასევე გარკვეულმა ნაწილმა, უარყო ეს. პოლიციის დღევანდელი აქტიურობის ფონზე ამგვარი მოწოდებები, შეიძლება ითქვას, ნაკლებად საშიშია, ვიდრე ორი წლის წინათ იყო. გასულ კვირას, პარასკევს, ეროვნულმა პოლიციამ თავისი პროფესიული დღესასწაული იზეიმა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პოლიცია ქვეყანაში გარკვეულწილად მაღალი რეიტინგით სარგებლობს, თქვენც არაერთხელ გამოგითქვამთ კმაყოფილება მათი მუშაობის გამო. და მაინც, ახალ ქვეყანაში, უკვე ალბათ, პოლიციის წინაშეც ახალი ამოცანები დადგება...

— ეს ბუნებრივია. მე მაინც მინდა ვთქვა, რომ საქართველოს პოლიციამ მინისტრის ბატონ შოთა კვირაიასა და მისი კოლეგების ხელმძღვანელობით და, რა თქმა უნდა, ხელისუფლების დიდი დახმარებითა და მხარდაჭერით, უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფაში. იმის გაკეთება, რაც ესოდენ მოკლე დროში გაკეთდა, წარმოუდგენელი იყო. დიდია რესპუბლიკის პროკურატურის როლი წესრიგის განმტკიცებაში. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო იუსტიციის სამინისტროს, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში მომხდარი მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები. ყველაფერი ეს ერთი კომპლექსია. როგორც იტყვიან, ჭრილობებს იშუშებს უშიშროების სამსახურიც, თუმცა სასურველია გაჯანსაღების პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს და ეს გამოიხატოს საკადრო პოლიტიკაშიც.

ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ რეალურად უკვე შეიქმნა რეგულარული ქართული ჯარი — სახელმწიფოებრიობის ერთი უმთავრესი ატრიბუტი, ქვეყნის ძლიერებისა და სუვერენიტეტის ერთი უმთავრესი და უპირველესი ნიშანი. ეს უკვე რეალური ძალა, რეალური არმია გახლავთ.

ასეთ პირობებში უპასუხისმგებლო პიროვნებათა განცხადებები რაღაც გზებით ხელისუფლების დამხობის შესახებ (მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ სახალხო მხარდაჭერა მიიღო) არა მარტო მათს ზერელობასა და უპასუხისმგებლობაზე, არამედ საბოლოოდ გაკოტრებაზეც მეტყველებს. ჩვენს წინსვლას ვერც ცალკეული დივერსიული აქტები შეაჩერებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვაწყდებით, მაგალითად, ისეთი, როგორიც გუშინ მოხდა ქარელის რაიონში — ააფეთქეს 500-კილოვატიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი ანძა. ეს ბოლო გაბრძოლებაა, ესეც ტერორიზმია, ესეც 29 აგვისტოს მსგავსი აქტია, ოღონდ მიმართული არა პიროვნების, არამედ ხალხისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ აქციამ სერიოზულად შეაფერხა მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის ობიექტების უზრუნველყოფა ელექტროენერგიით. რა თქმა უნდა, ამას სწრაფად აღვადგენთ, „საქენერგოს“ ხელმძღვანელობა მობილიზებულია, უშიშროების სამსახურმა მიიღო სახელმწიფოს მეთაურის შესაბამისი ბრძანება, დამნაშავეებს დაადგენენ და ისინი დაისჯებიან.

ჩვენი სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი არ შეცვლილა, თუ რაღაც არ მოემატა იმას, რაც არჩევნებამდე გვქონდა. ამჟამად მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით გრაფიკით მომარაგების სფეროში შექმნილი დაბრკოლებები ძირითადად ამ ავარიებთან არის დაკავშირებული. მე გახლდით თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, გავეცანი აღდგენით სამუშაოებს და ახლა კიდევ უფრო იმედიანად ვარ განწყობილი, ვიდრე მაშინ, როცა საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ იაფფასიანი წინასაარჩევნო დაპირებები სულაც არ ყოფილა — მე ვამბობდი, რომ იქნება სიძნელეები, მაგრამ ახლა მეტი შანსი და რესურსი გვაქვს, ვიდრე წინა წლებში.

და მაინც, ვუბრუნდები იმ საკითხს, რომ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ ყოველგვარი მოწოდება კანონის ძალით, კონსტიტუციის ძალით აღიკვეთება. ჩვენმა ხალხმა ძლიერ პრეზიდენტსა და ძლიერ პარლამენტს მისცა ხმა. ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის. მე ასე ვიტყოდი: საქართველოში დემოკრატიამ გაიმარჯვა, პროცესი შეუქცევადია. ეს კი ახალ ხელისუფლებას ავალებს, რომ ვიზრუნოთ თითოეული მოქალაქისათვის, გარანტირებული და დაცული უნდა იყოს მოქალაქის უფლებები.

— ბოლო პერიოდში ხშირად ვამბობთ, რომ გადაწყდა საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა — კასპიის ნავთობი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო ეკონომიკური, არამედ უწინარესად პოლიტიკური თვალსაზრისით. განვლილ კვირას ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის პრეზიდენტი ბატონი ტერი ადამსი ეწვია თბილისს და მას თქვენც შეხვდით...

— მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ საქართველო თანდათანობით იმკვიდრებს ადგილს როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო, ერთ-ერთი საკვანძო სახელმწიფო. ყველაფერი კანონზომიერად ვითარდება. ამასთანავე ჩვენ არავითარ კონკურენციას არ ვუწევთ სხვა ქვეყნებს, როგორც ამას არაკეთილმოსურნენი მიიჩნევენ და თან ამბობენ, თითქოს ჩვენ ვიღაცას ვაბრაზებდეთ და ვიღაცას ვავიწროებდეთ, საქართველოს არა აქვს იმის საშუალება, რომ ვინმე შეავიწროოს. ყველა ქვეყანასთან, ვისთვისაც ჩვენი განვითარების ასეთი გზა მისაღებია, ვითანამშრომლებთ და გავითვალისწინებთ ყველა ქვეყნის ინტერესებს, თუკი ასეთი რეალურად იარსებებს კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების დროს. ასე რომ, ლაპარაკი ცალკეულ სახელმწიფოებთან ჩვენს წინააღმდეგობებზე მოგონილი და საფუძველს მოკლებულია, ისინი გარკვეული წრეების მიერ არის შეთხზული და ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა კონსორციუმის ხელმძღვანელობასთან, ბატონ ტერი ადამსთან, აზერბაიჯანის წარმომადგენელ ბატონ ალიევთან თბილისში შეხვედრების დროს. ჩემი განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია. აქ უამრავი რამ არის გასაკეთებელი, უამრავმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ისეთმა, როგორიცაა საქართველოს რკინიგზა, „საქენერგო“, ფოთის, ბათუმის ნავსადგურები, ჩვენი სხვადასხვა ენერგეტიკული კომპლექსის შესაბამისი რგოლები, საავტომობილო ტრანსპორტი და სხვ. ასე რომ, ეს კორპორაცია ძალიან მრავალფეროვანი იქნება. მის შესახებ უფრო დეტალური ცნობა პრესაში გამოქვეყნდება. მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამ კორპორაციის ხელმძღვანელობა ჩავაბარო ბატონ გია ჭანტურიას, რომელიც ჩვენი ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლავთ აზერბაიჯანში და რომელსაც უკვე საკმაოდ კარგი და საქმიანი კონტაქტები აქვს დამყარებული, როგორც აზერბაიჯანის შესაბამის ეშელონებთან, ასევე თვით კონსორციუმთანაც. რა თქმა უნდა, მას დაეხმარებიან პროფესიონალები, სხვებიც, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი ამისათვის მომზადებული და მომწიფებულია.

— გარკვეულ წლებში, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო და მისი არსებობის შესახებ დედამიწაზე ალბათ ძალიან ცოტამ თუ იცოდა, ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათი ცნობილი სუხიშვილების ანსამბლი გახლდათ. დღეს კი მას ეროვნული ბალეტის ანსამბლი ჰქვია. გასულ კვირას ანსამბლს 50 წელი შეუსრულდა. ამ დღეს, სამწუხაროდ, ილიკო სუხიშვილი ვერ მოესწრო, მაგრამ ანსამბლის წევრების გვერდით ჩვეული ენერგიით დგას ქალბატონი ნინო რამიშვილი.

— ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ცეკვის ანსამბლს მთელი გულწრფელობით, სულითა და გულით მივესალმე (ასეთი მისალმება გამოქვეყნდა), ცალკეული წამყვანი მოღვაწეები დავაჯილდოვე კიდეც. მანამდე ქალბატონმა ნინომ მიიღო სახელმწიფო ჯილდო. ერთხელ კიდევ ვულოცავ მთელ კოლექტივს, ლეგენდარულ ნინო რამიშვილს, მშობლების შესანიშნავ შემოქმედებით შემკვიდრეს თენგიზ სუხიშვილს, ანსამბლის ყველა წევრს მსოფლიო აღიარებას, მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს, რაც ასე ბრწყინვალედ გამოვლინდა საიუბილეო საღამოზე.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის პრესცენტრის განცხადება

ამა წლის 2 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ზუგდიდის საქალაქო განყოფილებაში მოვიდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აჭარის მხრიდან გალის რაიონის მიმართულებით მიდიოდა ავტომანქანების კოლონა ექვსი ბენზინმზიდის შემადგენლობით, რომლებსაც რუსეთის ჯარების სანომრო ნიშნები ჰქონდათ, მაგრამ მძღოლებსა და მათ თანმხლებ პირებს შორის იყვნენ აფხაზეთის მცხოვრებლები — აფხაზი სეპარატისტების უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა წევრები.

მიღებული ინფორმაციის სარწმუნოების შესამოწმებლად ადგილობრივი დროით 18 საათისათვის ქალაქ ზუგდიდის შესასვლელთან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ზუგდიდის საქალაქო განყოფილებისა და შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო სამმართველოს ჯგუფმა აღნიშნული კოლონა შეაჩერა.

საგზაო დოკუმენტაციისა და თანმხლები პირების პიროვნებათა შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბენზინმზიდები ეკუთვნის რუსეთის სასაზღვრო ჯარების ოჩამჩირის ცალკე ბრიგადას. დოკუმენტების თანახმად, კოლონა უნდა წასულიყო მარშრუტით ოჩამჩირე-ახალციხე-ოჩამჩირე, მაგრამ, როგორც შემდეგ თანმხლებმა პირებმა განმარტეს, ისინი სათბობის უქონლობის გამო ახალციხეში იძულებული გახდნენ გაეწყოთ მანქანები ბენზინით ქალაქ ბათუმში. ამას გარდა, 4 ავტომანქანის მძღოლები აღმოჩნდნენ ოჩამჩირის მცხოვრებლები — გაბუნია ლეონიდე მუშნის ძე, 1961 წელს დაბადებული, მარტიროსიანი ანდრია შირაკის ძე, 1965 წელს დაბადებული, არაქელიანი ოგანეს ანდრონიკეს ძე, 1960 წელს დაბადებული და კეშეიანი სურენ არუთინის ძე, 1931 წელს დაბადებული. ამასთანავე მათ ყველას ეცვათ სამოქალაქო ტანსაცმელი და არ ჰქონდათ არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ისინი რუსეთის სასაზღვრო ჯარებს ეკუთვნიან. ლ. მ. გაბუნიამ, ეროვნებით აფხაზმა, წარმოადგინა სამხედრო ბილეთი, ხოლო ა. შ. მარტიროსიანმა, ო. ა. არაქელიანმა და ს. ა. კეშეიანმა — ძველი ნიმუშის სსრ კავშირის მოქალაქეთა პასპორტები. ზემოაღნიშნული პირები მიიყვანეს ქალაქ ზუგდიდის პოლიციის სამმართველოში. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ზუგდიდის საქალაქო განყოფილებისა და ქალაქ ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ერთ-ერთი დაკავებული მძღოლი — მოქალაქე ლ. მ. გაბუნია 1992-93 წლებში აფხაზი სეპარატისტების უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შემადგენლობაში მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებაში საქართველოს სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ.

საქართველოს უშიშროების სამსახურის ზუგდიდის საქალაქო განყოფილების უფროსთან საუბრისას მოქალაქემ ლ. მ. გაბუნიამ განაცხადა, რომ უკვე მესამედ მიდის ოჩამჩირე-ბათუმის მარშრუტით და აქვს სეპარატისტთა უშიშროების ოჩამჩირის რაიონული სამსახურის უფროსის დავალება შეაგროვოს ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ჯარის ნაწილებისა და სხვა ობიექტების, სამხედრო ტექნიკის განლაგების შესახებ ამ მარშრუტზე და მისცა მას წერილობითი განმარტება ამასთან დაკავშირებით.

ავტოკოლონის დაკავების ფაქტი უშიშროების სამსახურმა შეატყობინა ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის ხელმძღვანელობას. შეტყობინებიდან დაახლოებით 30 წუთის შემდეგ ქალაქ ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში მოვიდნენ საქართველოში რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდლობის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ნ. ლ. სმარშკოვი, რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი ვ. კარელინი და რუსეთის სამშვიდობო ძალების განსაკუთრებული განყოფილების წარმომადგენელი კაპიტანი ი. სვეტლიაკოვი, რომლებსაც განუმარტეს შინაგან საქმეთა სამმართველოში ზემოაღნიშნული მძღოლების მიყვანის მიზეზი. რუსეთის სამხედრო წარმომადგენელთა თხოვნით იმავე დღეს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე ყველა დაკავებული გაუშვეს. ბატონებმა ნ. სმარშკოვმა, ვ. კარელინმა და ი. სვეტლიაკოვმა მადლობა გადაუხადეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განყოფილებისა და შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებს საქმის ოპერატიული გარჩევისა და დაკავებულებისადმი კორექტული მოპყრობისათვის.

განსჯა

არჩევნები დამთავრდა...

დამთავრდა ერთი დიდი ეტაპი მეოცე საუკუნის ქართული ცხოვრებისა: ქვეყანამ აირჩია პრეზიდენტი და პარლამენტი. ამ არჩევანით საქართველომ გადაწყვიტა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამომავლო გზა — საით წავიდეს და როგორ იაროს. ჩემი აზრით, ამ არჩევნებმა გადაარჩინა ჩვენი თავისუფლება და გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა.

ასეთი ფიქრის მიზეზს ბევრი რამ მაძლევს, უპირველეს ყოვლისა კი ქვეყნის პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკოსის შესაძლებლობანი, განზრახვანი, ადრე გადადგმული ნაბიჯები და ახლანდელი წინასაარჩევნო შეპირებანი.

ამ თვალსაზრისით თუ განვსჯით, სხვა კანდიდატებთან ან არაფერია სამსჯელო, ან ქმედებათა და თუნდაც კეთილ განზრახვათა მიღმა ქვეყნის დანგრევა, შინააშლილობა და დამოუკიდებლობის დაკარგვა ჩანს.

საქართველოს ამომრჩეველმა გონიერებითა და თავად გადარჩენის ინსტინქტით ნაკარნახევი არჩევანი გააკეთა, სწორი არჩევანი და ქვეყანა გადაარჩინა.

პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.134.308 ამომრჩეველმა. აქედან —

ედუარდ შევარდნაძეს ხმა მისცა 1.555.390-მა, ანუ 72,9 პროცენტმა,

ჯუმბერ პატიაშვილს — 406.929-მ, ანუ 19,1 პროცენტმა,

აკაკი ბაქრაძეს — 30609-მ, ანუ 1,4 პროცენტმა,

პანტელეიმონ გიორგაძეს — 10.223-მა, ანუ 0,5 პროცენტმა,

ქართლოს ღარიბაშვილს — 10.046-მა, ანუ 0,5 პროცენტმა,

როინ ლიპარტელიანს — 8217-მა, ანუ 0,4 პროცენტმა.

არჩევნების წინა დღეს პანტელეიმონ გიორგაძემ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა რომ ხსნის თავის კანდიდატურას და თავის მომხრეებს მოუწოდა ხმები პატიაშვილისთვის მიეცათ.

მაგრამ მერე არ ვიცი, იმიტომ რომ პატიაშვილმა არ მიიღო ოდიოზური საჩუქარი თუ სხვა რამ მიზეზის გამო, გიორგაძემ მაინც იყარა კენჭი და მიიღო, როგორც ზემოთ ვთქვი, 10.223 ხმა. როგორც ხედავთ, ეს ხმები ჯუმბერ პატიაშვილს ბევრს ვერაფერს შემატებდა, პირიქით, დააკარგვინებდა, რადგან დაამტკიცებდა ეჭვს არა მარტო მათ მეზობლურ ურთიერთკავშირს, არამედ ორივეს კავშირს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე რეაქციულ ძალებთან.

მე ვფიქრობ, პანტელეიმონ გიორგაძის ასე ღია მხარდაჭერამ პატიაშვილს უდაოდ ავნო, ისევე, როგორც ავნო ირაკლი წერეთლის მხარდაჭერამ.

ბოლოს და ბოლოს, ხალხი ყრუ და ბრმა ხომ არ არის და გამოჩნდა, რომ ცხრა აპრილის ორი მთავარი მოქმედი პირი — წერეთელი და პატიაშვილი ბარიკადის ერთ მხარეს დგანან.
რატომ? რისთვის?

რა აქვთ საერთო, ცხრა აპრილის ტრაგედიის გარდა, 1989 წელს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ორ მხარეს — ცეკას პირველ მდივანსა და ეროვნული დამოუკიდებლობის შეურიგებელ ლიდერს? ვინ სვამს მათ ერთ მაგიდასთან და სად არის ეს მაგიდა? ამაზე დაფიქრდა ხალხი და პასუხიც გასცა, მეტად შთამბეჭდავი პასუხი — საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ მიიღო 39.365 ხმა ანუ ხმების 1,86 პროცენტი.

საინტერესო და დასაფიქრებელია სხვა ფაქტიც — ბლოკმა „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები“ (საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია) მიიღო 97.912 ხმა, ბევრად ნაკლები, ვიდრე ამ პარტიების წევრთა სიით არის დაფიქსირებული. ეტყობა, ხალხი გადამწყვეტ მომენტში ფიქრობს არა პარტიული კარნახით, არამედ საკუთარი ინტერესებით.

მეტიც, სწორედ არჩევნების წინ, მასობრივად, ამ პარტიათა წევრები გადადიოდნენ მოქალაქეთა კავშირში ან სტოვებდნენ პარტიებს.
ეს მეტად ბევრს ამბობს.

ვერანაირი პროპაგანდა ვერ აიძულებს ხალხს დიდ არჩევანში მხარი დაუჭიროს ოდიოზურ პარტიებსა და ოდიოზურ ფიგურებს.

ერთი კია, როგორც პარტიული სიებით, ისე მაჟორიტარული სიით მაინც გავიდნენ, ან მეორე ტურში ელიან რომ გავლენ, ისეთი დეპუტატები, რომელთა ადგილი თავმოყვარე და კანონთმოშიში ქვეყნის პარლამენტში არ უნდა იყოს.

რას იზამთ, ყველა სოფელს უნდა ჰყავდეს ერთი გიჟი, ერთი ქურდი, ერთი მეძავი... ეტყობა, ახალი პარლამენტიც ვერ აცდება ამ წესს.

წინა პარლამენტში საქართველო საკმაოდ შეარცხვინა და საკმაოდ მოაბეზრა თავი საქართველოს ამა თუ იმ პარტიამ და ამა თუ იმ ვაიპოლიტიკოსმა.

ხალხმა ამჯერად მათ პარლამენტის კარი დაუკეტა.

არ არის გამორიცხული, რომ დეპუტატობას მიჩვეული და პარლამენტის გარეთ დარჩენილი ეს ხალხი ყველაფერს გააკეთებს დესტაბილიზაციისათვის, ქვეყნის არევისთვის. ისინი მიეჩვივნენ მმართველ ელიტაში ყოფნას, საქმეების ჩაწყობას და ბრტყელ-ბრტყელი ლოზუნგებით კეკლუცობას... ახლაც, ზოგი მათგანი ვერ ეგუება ხალხის გადაწყვეტილებას და ქუჩიდან ემუქრება ქვეყანას.

მათგან შეშინებული, რა თქმა უნდა, ყველაფრის ღირსია, თუკი ვინმეს ეშინია. უბრალოდ, გავახსენებ ყოველ მათგანს: დღეს საქართველო ის სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია თავის დაცვა და ეტყობა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ყოველ ნაბიჯზე სახელმწიფო ორგანოებმა თავისი სიტყვა უნდა თქვას.

არის კანონიერი პრეზიდენტი, არის კანონიერი პარლამენტი, ვითანამშრომლოთ მასთან და მოვემზადოთ შემდეგი არჩევნებისათვის.

ესაა ერთადერთი წესიერი და გონივრული გამოსავალი დღევანდელი რეალობიდან.

შევეგუოთ იმას, რომ ხალხს მობეზრდა ქვეყნის ნგრევა და არეულობა.

მაგრამ მეეჭვება, ძალიან მეეჭვება, რომ ყველამ გაიზიაროს ეს შეხედულება, რადგან ვაჟკაცობა მარტო მოგებას კი არ უნდა, წაგებასაც უნდა ვაჟკაცობა.

შეიძლება მე გამომრჩა და თუ ასეა, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ლანძღვა-გინებაზე დაგეშილი პრეტენდენტების მხრიდან, ბოლოს, როცა ყველაფერი დამთავრდა და გაირკვა, ერთი მილოცვა არ გამიგია.

განა პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, როგორც მოქალაქე და ამომრჩეველი, ვალდებული არაა პატივი სცეს თავისი ხალხის გადაწყვეტილებას, პატივი სცეს ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს და გაუწოდოს თანამშრომლობის ხელი?

ბოლოს და ბოლოს ქვეყნის პრეზიდენტი ხომ მთელი ქვეყნის პრეზიდენტია, მისი ყოველი მოსახლის, მისიც, ვისაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და მისიც, ვისაც მისთვის ხმა არ მიუცია.

მე მინდა ვუთხრა იმ ამომრჩევლებს, რომელთაც ედუარდ შევარდნაძისთვის ხმა არ მიუციათ: გააკეთეთ ის, რაც უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეკეთებინა პრეზიდენტობის თქვენს კანდიდატებს, პატივი ეცით თქვენი ხალხის გადაწყვეტილებას და ახალ პრეზიდენტთან ერთად მიხედეთ ქვეყანას.

არჩევნების მერე თანამშრომლობა ეს არის ერთადერთი ცივილიზებული პერსპექტივა ქვეყნისა; სადაც ეს წესი არ მუშაობს, იქ დამარცხებული მხარე თამაშგარე რჩება, რაც უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ ქვეყანას და იმ ქალაქს აზიანებს, ვისაც სიყვარულს ეფიცებოდით.

ახლა რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს.

მინდა მივულოცო მოქალაქეთა კავშირს, სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირსა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამარჯვება.

თქმა არ უნდა, მოქალაქეთა კავშირის გამარჯვებაში უდიდესი როლი მიუძღვის მის ლიდერს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც სამაგალითო და ბრწყინვალედ ჩატარებულ თავის საარჩევნო კამპანიით პროპაგანდა გაუწია მოქალაქეთა კავშირსაც და ბუნებრივია, უმეტესმა მათგან, ვინც შევარდნაძეს მისცა ხმა, მისცა — კავშირსაც, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს რეფორმების გატარებაში. მაგრამ კავშირს, სრულიად სამართლიანად, თავისი, დამოუკიდებელი პრეტენზიებიც გააჩნია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წარმართვისა. ვნახოთ, იგი როგორც მმართველი პარტია, როგორც უმრავლესობის პარტია, რა ნაბიჯებს გადადგამს. ყოველ შემთხვევაში, პირველი მისი ნაბიჯი პარლამენტის გარეშე დარჩენილ პარტიებთან თანამშრომლობის ინიციატივით, უდაოდ მისასალმებელია და მისაღები.

პარლამენტის გარეთ დარჩნენ პარტიები და პიროვნებანი, რომელთა გარეშე თითქოს ძნელი იყო ქართული პარლამენტის წარმოდგენა. მათ ემოციების გარეშე უნდა გაიაზრონ, რატომ არ მისცა ხალხმა ხმა. ნაჩქარევი და ემოციური რეაქციები აქ სიკეთეს ვერ მოიტანს.

• • •

ამა წლის 26 ნოემბერს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია, პრეზიდენტად კურთხევა.

პრეზიდენტმა ღვთისა და ქვეყნის წინაშე უნდა დასდოს ფიცი, რომ საქართველოსთვის თავდაუზოგავად იღვაწებს, რომ გააერთიანებს საქართველოს, რომ დაგვიბრუნებს დაკარგულ მიწებს, რომ იზრუნებს ყოველ ჩვენგანზე.

ღმერთმა ქნას, შესძლოს.

შესძლებს.

თუკი ყველა ერთი მიზნით გავიმსჭვალებით, საქართველოს აშენების მიზნით და იმ რწმენით, რომ არჩევნებში საქართველომ გაიმარჯვა, რომ არჩევნებში ყველამ გავიმარჯვეთ და რაკიღა ვერც 29 აგვისტოს აგვაფეთქეს და ვერც 5 ნოემბერს გაგვაბრიყვეს, საქართველოს მტრები, ყოველი ჩვენგანის მტრები, ვეღარასოდეს დაგვაჩოქებენ და ვეღარაფერს დაგვაკლებენ.

კობა იმედაშვილი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
დადგენილება
№ 1 საარჩევნო ოლქის, № 15, № 15 საარჩევნო ოლქის № 21 და № 83 საარჩევნო ოლქის №№ 3, 20, 21 საარჩევნო უბნებში ხელახალი ხმის მიცემის დანიშვნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1995 წლის 19 ნოემბერს დაინიშნოს ხელახალი ხმის მიცემა № 1 საარჩევნო ოლქის № 15, № 15 საარჩევნო ოლქის № 21 და № 83 საარჩევნო ოლქის №№ 3, 20, 21 საარჩევნო უბნებში.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე

1995 წლის 10 ნოემბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
დადგენილება
№№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 28, 30, 31, 32, 35, 36, 37, 38, 39, 43, 44, 45, 47, 49, 50, 51, 52, 54, 55, 56, 57, 59, 61, 66, 68 და 85 საარჩევნო ოლქებში არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

დაინიშნოს არჩევნების მეორე ტური №№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 28, 30, 31, 32, 35, 36; 37; 38; 39; 43; 44, 45, 47, 49, 50, 51, 52, 54, 55, 56, 57; 59; 61; 66; 68 და 85 საარჩევნო ოლქებში.

კომისიის თავმჯდომარე,
ივანე კილურაძე.

1995 წლის 10 ნოემბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
დადგენილება
№ 1 საარჩევნო ოლქის № 15 საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმების შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:
გაუქმდეს № 1 საარჩევნო ოლქის № 15 საარჩევნო უბნის შედეგები.

კომისიის თავმჯდომარე,
ივანე კილურაძე.

1995 წლის 10 ნოემბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
დადგენილება
№ 15 საარჩევნო ოლქის № 21 საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმების შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:
გაუქმდეს № 15 საარჩევნო ოლქის № 21 საარჩევნო უბნის შედეგები.

კომისიის თავმჯდომარე,
ივანე კილურაძე.

1995 წლის 10 ნოემბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
დადგენილება
№ 83 საარჩევნო ოლქის, №№ 3, 20, 21 საარჩევნო უბნების შედეგების გაუქმების შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:
გაუქმდეს № 83 საარჩევნო ოლქის №№ 3, 20, 21 საარჩევნო უბნების შედეგები.

კომისიის თავმჯდომარე.
ივანე კილურაძე.

1995 წლის 10 ნოემბერი.

ახალგაზრდა იურისტის ნუგეში

არც ისეა საქმე! მართლა ყველა უსაქმური, ლოთი და ნარკომანი კი არ არის, კარგი ახალგაზრდობაც მოდის — მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში, სპორტში...

კობა დავითაშვილი 24 წლისაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (საშუალო სკოლიდან ვერცხლის მედლით გამოსული და უმაღლესიდან — წარჩინებით). ეს გახლავთ მაღალი, ბრგე აგებულების, სიმპათიური ჭაბუკი (სხვათა შორის და პირველ ყოვლისა, ქალიშვილთა საყურადღებოდ — უცოლო), რომელმაც, ყმაწვილკაცობის მიუხედავად, უკვე მოასწრო შთამბეჭდავი ნამსახურობის დაგროვება: წინა არჩევნებში — ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული ჯგუფის წევრი; 1993 წელს — ინგუშეთის პრეზიდენტის არჩევნებში საერთაშორისო მეთვალყურე, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის აპარატში — საკონსტიტუციო აქტების მომზადების სამსახურის თანამშრომელი და სახელმწიფო მრჩეველი, ახლა კიდევ — ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების გამგის მოადგილე; როგორც ჭეშმარიტ იურისტს სჭირდება და შეეფერება — კარგი მოუბარიც (ეს ტელეეკრანიდანაც გამოჩნდა)

მე მას, უფროსი კაცის უფლებით, „უბატონოდ“ ველაპარაკე...

— კობა, გუშინ, 10 ნოემბერს, კომისიის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი „საარჩევნო უბნებში საარჩევნო კანონის დარღვევასთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების განხილვა“, ვერ მოესწრო და დღევანდელ სხდომაზეც გაგრძელდება. ჩიქორთული კანცელარული ენით რომ ვიკითხოთ, როგორი საჩივრები ექვემდებარება განხილვას?

— კანონით მხოლოდ ისეთი, რომლებიც არჩევნების მეორე დღეს, 6 ნოემბერს, თანაც 18 საათამდე შევიდა საოლქო საარჩევნო კომისიებში და იქიდან მივიღეთ. იურისტების ტერმინოლოგიით, ჩვენ ვმოქმედებთ, როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო. პროცედურის დაცვით ჩვენამდე მოსული გუშინ ათამდე იყო, ერთი ათეული დღესაც დაემატა. საოლქოს გვერდის ავლით პირდაპირ უბნებიდან წამოსულ საჩივრებს (ასეთი კი უამრავია), ხელს არც მოვკიდებთ.

— შეიძლება, ალბათ, დარღვევების „დახარისხება“ — მათი ხასიათის-და მიხედვით...

— მე სამ კატეგორიას გამოვყოფდი: დარღვევები, რომლებმაც ნამდვილად მოახდინა გავლენა არჩევნების შედეგებზე.

— მაგალითად?

— ვთქვათ, მეთვალყურემ დააფიქსირა, თუ როგორ ჩააგდო ამომრჩეველმა ყუთში ბიულეტენების მთელი დასტა; ხომ ნათელია, რომ ყუთის გახსნის შემდეგ მათ ვერ გამოარჩევ და წინსწარვე იცი, რომ ამ უბანში შედეგები გაყალბებულია. მსგავსი დარღვევების ფიქსაციისას იურიდიული განყოფილება კომისიას სთავაზობს რეკომენდაციას უბანში შედეგების ბათილად ცნობისა. მეორე კატეგორიას შეადგენს დარღვევები, რომელთა გამო ნაღდად იცი, რომ შედეგებზე მათ არ იქონიეს გავლენა; მაგალითი თუ გნებავთ, წინა შემთხვევაში ერთი დეტალი შევცვალოთ: დასტიან ამომრჩეველს დროზე მოუსწრეს და არ ჩააგდებინეს. დარღვევა თვალწინაა, მაგრამ შედეგებს ვერ გააყალბებს. ამ სიტუაციაში კომისიას ვურჩევთ უბანში არჩევნები არ გააუქმოს. დაბოლოს, ისეთი დარღვევების შემცველი კატეგორია, რომელთაც შეეძლოთ შედეგებზე გავლენის მოხდენა, მაგრამ ცნობილი არ არის, მოახდინეს თუ არა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ყველაზე რთული ჯგუფია; აქაც მოვიხმობ მაგალითს: ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ გამოუყენებელი ბიულეტენები არ დაილუქა და ისე წარდგა საოლქო კომისიაში; აშკარაა, რომ ამ ბიულეტენებით ვიღაცას შეეძლო ესარგებლა, მაგრამ ეს დანამდვილებით ცნობილი არ არის; მხოლოდ ასეთი დარღვევის გამო, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, იურიდიული განყოფილება არ მოითხოვს შედეგების ბათილად ცნობას, მაგრამ თუ იმავე უბანში ერთ ასეთ დარღვევას მეორეც დაემატება (თუნდაც ასეთი — ხმების დათვლაზე მეთვალყურეები არ დაუშვეს), მაშინ ორი დარღვევის ერთობლიობა იძლევა ბათილად ცნობის საფუძველს.

— ხომ არ დაასახელებ კონკრეტულ საჩივარს კონკრეტული ადგილიდან?

— მარნეულიდან მომჩივანი ჩიოდა, რომ ბოლო ნახევარ საათში ხმის მიმცემთა პროცენტი ორჯერ გაიზარდა. ეჭვის მიზეზი მართლაც არის, მაგრამ დამატებითი მტკიცებულებების უქონლობის გამო, მხოლოდ ეჭვით, შედეგებს ბათილად ვერ ვცნობდით.

— კობა, საქინფორმის პრესკლუბში მოწყობილ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კომისიის თავმჯდომარეს ჰკითხეს ბატონების ჯუმბერ პატიაშვილისა და ჯაბა იოსელიანის საპროტესტო წერილებზე. ბატონმა ივანემ უპასუხა, რომ წერილები იურიდიულ განყოფილებას გადაუგზავნა...

— დავაზუსტებ — იგულისხმება ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის მხარდამჭერთა ორი წერილი: პირველი ეხება წინასაარჩევნო დარღვევას, როცა ერთ-ერთი „მაცნეს“ შემდეგ „აუდიენციაში“ ითქვა, რომ ბატონი ჯუმბერი ეჭვმიტანილია 29 აგვისტოს ტერაქტთან დაკავშირებით. ჩემი ფიქრით, ამ შემთხვევაში ტელევიზიამ სულაც არ შეუწყო ხელი კამპანიის ნორმალურად წარმართვას.

მეორე წერილი უბნებში დარღვევებზეა და ჩვენ მას არ განვიხილავთ — ადრესატი შესაბამისი საოლქო კომისია უნდა ყოფილიყო.

ბატონ ჯაბა იოსელიანის საჩივარს მე არ ვიცნობ.

— დღევანდელ სხდომაზე რითი გამოდიხართ?

— დღეს საჩივრების ბოლო დღეა და ოლქებიდან წარმოდგენილ მასალებს ველოდებით, თუ დროზე არ გადმოგზავნეს, მე ვთხოვ კომისიას დააყენოს იმ საოლქო კომისიების თავმჯდომარეთა მკაცრი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც საჩივრები ჰქონდათ, მაგრამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადმოგზავნეს.

— გმადლობთ, კობა, „შენგან“ ხომ არ დაუმატებდი რამეს?

— ბევრი პარტიისთვის არჩევნების შედეგები ეგებ სავალალო იყოს, მაგრამ ისინი ობიექტურად ასახავენ მოსახლეობის განწყობასა თუ ნებას. მათთვის სანუგეშოდ შეიძლება ვთქვათ, რომ გარკვეული უბედურება გაურკვეველ ბედნიერებას ჯობია, ვინაიდან თვითანალიზისა და მოქმედებისკენ მოგვიწოდებს...

თამაზ ებანოიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზოგადოება

ზაფხულის ცხელი დღე შემოდგომაზე

2. „ლე ბურჟე“ ინგირის შემოგარენში და წინდახედული შაშვები





უგდიდში იყო სიმშვიდე, ისეთი, რომელიც ჭყვეტილების მიღების მერე ეუფლება კაცს საზოგადოებას.

როგორი გადაწყვეტილების?

ულ გაცხადდება როგორისაც.

ღეს კი, ამ შაბათს, 4 ნოემბერს ჩვეულებრივი შაო დღეა აეროპორტის მშენებლობაზე, თუ ულებრივი ეთქმის იმ დაძაბულ და ნაყოფიერ მას, რომელიც აქ დღე და ღამ (ღამეც!) არ ება.

ი გადავჩვეულვართ, ჩანს.

რაქტორები, ბულდოზერები, სკრეპერები; აქე- ჰორიზონტამდე — შავი ზოლი ფენა-ფენა დაგებული ასფალტის.

, სადაც მთავრდება ასფალტი, ჩასკვნილი მამა- ასფალტისფერ კოსტუმში ორ, როგორც მე- მეტყვიან, დამოუკიდებელ სპეციალისტს (რუ- ყოფილან) ესაუბრება შესასრულებელ სამუ- თა ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. ამდე, სოფელ ინგირის ბოლომდე, სადაც საე- მორისო(!) აეროპორტს აშენებენ, არ აღწევს ტიკური (ზეპირი თუ ეკრანული) პუბლიცის- გამონაბოლქვი მავნე აირები, რომლებმაც ხში ისე მოწამლა ადამიანურ ურთიერთო- ატმოსფერო, რომ ფრიად საშიში გახდა ამო- ელის სასიცოცხლოდ აუცილებელი ორგანოე- თვის.

, ცოტა არ იყოს, უკვირთ ასეთი გამწარებუ- შეტევა სავარძლის მისადგომებთან ბრძოლაში.

— ზევით თუ აფურთხებ, თვალში ჩაგივარდე: — ამ ლაკონური ანდაზით დაუსვეს დიაგნო- ჰავიანმა ზუგდიდელებმა ყველაფრისკადრების საარჩევნო კამპანიის მაქსიმალისტურ გადახრებს დაამატეს:

— შაშვმა კურკანტელა ჯერ უკან მოიზომა, მე- გადაყლაპაო. ეს პრეზიდენტობის ჯიქურ თავ- ერებულ პრეტენდენტებზე თქვეს, — არ გაუ- ნათო?

ოდიშს ვიხდი ფოლკლორის ამ ნიმუშის ალალი ურალიზმისა გამო, მაგრამ ზოგიერთს, ჩანს, ოლოდ ასე გააგებინებ სათქმელს.

, სოფლის განაპირას სუფთა ჰაერია-მეთქი, პო- ური მინარევებისგან თავისუფალი, ღრმად სუნთქოთ და მივიდეთ ასფალტისფერკოსტუ- მამაკაცთან, რომელიც დგას იქ, სადაც თავ- ა ასფალტი.

ადაჯერებული, მკვრივი დგომი და დინჯი ქეს- ულაცია აშკარად წარმოაჩენს, რომ იგი „პატრო- .

ესარიონ კეიდია, თბილისელი ბიზნესმენი გა- ობს „პატრონს“, — გრიგოლ ქობალიას.

— ეს კაცი აქ რომ მოვიდა, უკვე ბევრი კარგი ე ჰქონდა გაკეთებული, ბევრი წამოწყების ავ- ი იყო. პირველი კომპიუტერები შემოიტანა, ავტოინსპექციის სისტემაში პირველად დანერგა კომპიუტერიზაცია, ახლაც იქ მუშაობს — შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის უფროსია ავტოინსპექციის ხაზით. ასეა დაახლოებით.

მისი თანამდებობის დაზუსტებას დაუსწრებლად ველარ მოვასწრებ, რადგან უკვე გამოემართა შესახვედრად, — გამარჯობათო, — და თვითონ მას ვკითხოთ:

— აქ რად მუშაობთ, ბატონო გრიშა?

— ორგანიზატორად.

— მთავარ ენთუზიასტად, — „აზუსტებს“ ბესო კეიდია.

ასეთი პასუხის შემდეგ უნდა იჩქარო საუბრის დაწყება, თორემ ვინ იცის, ვის და რა წუთს დასჭირდება „მთავარი ენთუზიასტ-ორგანიზატორი“, და... ჩაფლავდა ინტერვიუ.

ამიტომ მთავარი კითხვა დავითრიოთ რქებით:

— რას ნიშნავს აეროპორტი ზუგდიდისათვის?

— პირველი, — ცივილიზაციას; მეორე, — ეკონომიკის განვითარებას; მესამე, — უცხოელი ინვესტორების მოზიდვას.

— უცხოელი ინვესტორი აეროპორტისთვის მოვა?

— აეროპორტისთვის — არა, მაგრამ აეროპორტის გარეშე — საეჭვოა, ჩამოვიდეს. ვისაც რაზე უნდა დაელაპარაკოთ უცხოეთში, — პერსპექტიულ საქმეზე, მომგებიან ბიზნესზე, პირველი, რითაც მომავალი პარტნიორი დაინტერესდება, კითხვა იქნება, აეროპორტი გვაქვს თუ არა და როგორი?

— მაშ, რა. შეგვიძლია ვუთხრათ, როდის გვექნება აეროპორტი და როგორი?

— გვექნება საერთაშორისო სტანდარტებს რომ უპასუხებს, ისეთი აეროპორტი, სამუშაოთა 90 პროცენტი შესრულებულია. პირველი რიგი რომ ჩავაყენოთ მწყობრში, ფრენა რომ დავიწყოთ სულ რაღაც 10 პროცენტის საქმეა გასაკეთებელი.

— გაკეთდა კი რა?

— დავამთავრეთ გრუნტის სამუშაოები, მოხრეშვა, 50 პროცენტი ასფალტისა დაგებულია, ცოტაც და ტერიტორიას შემოვღობავთ, ვამთავრებთ შემოვლით გზას, და ერთი თვის თავზე აეროდრომი თავის სახეს მიიღებს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ბეტონის სამუშაოებზე არაფერი თქვა? აეროდრომი ბეტონის გარეშე? რატომ? გაირკვა, რომ ასაფრენი ზოლების მშენებლობაში სწორედ ასეთი ტექნოლოგიაა დანერგილი, მსოფლიოში. ბეტონირებული ზოლები ყოფილ საბჭოთა კავშირში ყოფილა მიღებული. ამჟამად აქცენტი გრუნტის სიმყარეზეა გაკეთებული. ზუგდიდის აეროპორტის (მომავლის და ყოფილის — ადგილობრივი მნიშვნელობის მქონესი) გრუნტი კი, თავისი სიმყარით (ბუნებრივი ხრეში) მეორე არის საქართველოში, პირველი — მესტიისაა, სადაც კლდე და გრანიტია.

— მშენებლობის ასეთი სწრაფი ტემპი, აქ რომ გაქვთ, იმ ძველ იერიშობანას ხომ არა ჰგავს?

— არაფერი გვაქვს საერთო! მონდომებასა და სამუშაოთა კარგ ორგანიზებაზეა აქ ყველაფერი დამყარებული. დრომ მოიტანა ეს.

— ანაზღაურება?

— კარგი ინვესტორები გვყავს...

იგულისხმება — კარგი ხელფასის გამცემები. მაგრამ, თურმე ახალ საბაზრო ურთიერთობებში არც ენთუზიაზმს დაუკარგავს მაღალნაყოფიერი შრომის სტიმულატორის ფუნქცია.

— ისეთი სპეციალისტები დავიტოვეთ, — ამბობს გრიგოლ ქობალია, — რომლებმაც მუშაობაც იციან და არც შრომა ეზარებათ.

ბევრი კვალიფიციური გეოდეზისტი, ინჟინერი ჰყავდათ ზუგდიდში ენგურჰესის მშენებლობაზე. უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ ბოლოს. რესპუბლიკის საავიაციო დეპარტამენტმა მათი ავიაპროფილით გადამზადება ითავა და როდესაც სპეციალური საპროექტო ინსტიტუტიდან აეროდრომის გამზადებული პროექტი მიიღეს, ზუგდიდში უკვე ჰყავდათ ამ საქმის მცოდნე პრაქტიკოსები. ისინი აშენებენ ამ აეროდრომს.

საინტერესოა უთუოდ, რომ ეს სამშენებლო ობიექტი თავისი მასშტაბისა და მნიშვნელობის მიუხედავად, ერთ-ერთია და არა ერთადერთი რეგიონში, სადაც უკვე შეუდგნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიდი პროგრამის განხორციელებას.

სიტყვა რომ არ გავაგრძელო ამ პროგრამაზე, ვიტყვი მხოლოდ, რომ ღონისძიებათა ამ კომპლექსში ორგანულად არის შეხამებული რეგიონისა და რესპუბლიკის ინტერესები, და მეურნეობრიობის აღორძინების პერსპექტივა ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების საერთო ფონზე. საკომუნიკაციო საშუალებათა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგრამ, ამასთანავე, თავად ეს უბანი, დავარქვათ ასე, შემადგენელი ნაწილია ევროპა-კავკასია-აზიის ტრანსეროვნული სატრანსპორტო დერეფნის საქართველოს მონაკვეთისა.

ვთქვათ ისიც, რომ ამ პროგრამის ავტორთა ჯგუფს სათავეში უდგას ბატონი ოთარ ფაცაცია.

პერსპექტივა, პერსპექტივა... პერსპექტივის რესპუბლიკად რომ არ ვიქცეთ, კარგი ჩანაფიქრის მატერიალიზაციაც უნდა შევძლოთ. ელემენტარული მოთხოვნაა, თუმცა —აქსიომის მნიშვნელობის მქონე.

— აქ ამ მხრივ გვიჭირს რამე?

— პრაქტიკულად არაფერი, ოღონდ, ღმერთსა ვთხოვთ კარგ ამინდს, თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, თვე-ნახევარში პირველ რეისებს გავუშვებთ.

— გავუშვებთო ნიშნავს, რომ, სულ ცოტა, ავიაკომპანიებთან ხელშეკრულებები გაქვთ დადებული რეისების შესასრულებლად?

— მოლაპარაკებული ვართ, თუმცა ხელშეკრულებები არ გაგვიფორმებია, ფირმებთან, რომელთაც შესაბამისი კლასის თვითმფრინავები აქვთ. იგულისხმება „იაკ-42“ და „ილ-18“ თვითმფრინავები.

— „ილ-18“? ეს თვითმფრინავები რახანია მოიხსნა ექსპლუატაციიდან...

— მართალია, მაგრამ სამხედროებს ჰქონიათ ეს თვითმფრინავები, რომელთაც ჯერ კიდევ დარჩენილი აქვთ ფრენის დიდი რესურსი. პრაქტიკულად მათ არ ხმარობდნენ.

ამით თავიანთი პროგრამის პირველ ეტაპს ამთავრებენ. მშენებლობა კი გრძელდება.

გრძელდება ამ საღამოსაც.

იმუშავებენ ხვალაც, თუმცა კვირაა და არჩევნების დღე.

4 ნოემბრის მზე ზღვაში ეშვებოდა, იქით, ენგურის შესართავთან.

ხელის გაწვდენაზეა აქედან ენგური, მაფშალიების ჭალა. იქით კი...

იქითო, ამბობენ, ამ დღეებში დაძაბულობამ იმატა და იქნებ, კულმინაციასაც მიაღწია: ხან საარჩევნოდ ზუგდიდიდან შეჭრის მოსაგერიებლად ემზადებიან, ხან გალში დაბრუნებულ ლტოლვილებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად წამოსახვლელ გზებს უკეტავენ, — ოთხასი შეიარაღებული მილიციელი ჩააყენესო ენგურის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ.

ამბობენ.

იმასაც ჰყვებიან, რომ არძინბამ გუდაუთის ტელევიზიით გამოსვლისას 5 ნოემბრის არჩევნებზე კომუნისტების გამარჯვების სურვილი გამოთქვაო.. ხმებია, იქიდან გამოჟონილი.

ხმები, რომელთაც სიტუაციის ლოგიკური საფუძველი აქვს.

ზუგდიდელები და ლტოლვილები ზუგდიდში მსჯელობენ ამ ზეპირსიტყვიერ ინფორმაციათა გამო: იქნებოდაო, იტყოდაო.

• • •

მომავალი აეროპორტის ტერიტორიიდან შაშვები კარგა ხანია აბარგებულან (შეიძლება ასე ვთქვა?), უფრო მყუდრო ადგილები, მოსახერხებელი და მათთვის მორგებული მოუძებნიათ.

შაშვმა იცის თავისი ადგილი, შაშვი წინდახედულია.

არმაზ სანებლიძე.
ზუგდიდი — თბილისი.

სურათებზე: გრიგოლ ქობალია (მარცხნივ), აეროდრომის მშენებლობაზე; ფენა-ფენა დაგებული ასფალტი ჰორიზონტამდე გრძელდება.

ავტორის ფოტო.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სრ“ №167.

ვა გაზეთებიდან

მანუჩარ მაჩაიძემ კრიმინალური პოლიტიკის კარში საუკეთესო გოლი გაიტანა

თბილისის „დინამოს“ 70-იანი—80-იანი წლების დასაწყისის პოპულარული ფეხბურთელის საქართველო-95-ის საარჩევნო მინდორზე გამოჩენა შეიძლება შევადაროთ რუსეთში კინოს, თეატრისა და ესტრადის ოსტატთა პოლიტიკაში გაწევას. ფლანგებზე გაჭრა, სადაც ეგრეთ წოდებული პროფესიონალი პოლიტიკოსები ფიასკოს განიცდიან, ადვილად აიხსნება იმით, რომ ელექტორატი დაიღალა პოსტსაბჭოთა პერიოდის ფრიად მსუბუქი და ამასთანავე საშიში ფიგურების ხილვით. იგი, ელექტორატი, მოითხოვს არა პოლიტიკური ინტრიგებისა და ავანტიურების ოსტატობას, რომლებსაც პირადი და კლასობრივი ინტერესების მიზნით აწყობენ, არამედ სუფთა თამაშის ჭეშმარიტი მომხიბვლელობის გამოვლენას.

მანუჩარ მაჩაიძემ, რომელსაც ლშემატკივრებმა „მანო“ შეარქვ- , საპარლამენტო არჩევნებში მარჯვა იქ, სადაც მის წინაალ- ეგ თამაშობდა სულ ახლახან კიდევ ყოვლისშემძლე მეცნი- ებათა დოქტორი და „მხედრიონ- “ მამამთავარი ჯაბა იოსელიანი. ლადევის „პროლეტარულ“ ოლ- , კომუნისტებისა და უპარტი- ურყევი ბლოკის საერთო კა- ნდიდატმა ამ წაუგებელ სამკვიდ- რში, მან სულ 26 ხმა მოაგრო- რაც ნებისმიერი საზომით პოლი- ტიკური კრახია იმ ფრიად სპეცი- ფიკური ხელისუფლებისა, რომე- ც მისი მონაწილეობით ჩამოყა- ლიბდა.

ეს ურყევი ბლოკი გასკდა.

რამდენიც გსურს, შეგიძლია ილაპარაკო, რომ ეს არის შედე- იმ რეპრესიებისა, რომლებიც „მხედრიონს“ თავს დაატეხეს 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის შემდეგ, — ეს სურათი, რომელსაც მკითხველსა და მაყურე- მონდომებით სთავაზობენ სპეცსამსახურის სერ- ური კალმები, სინამდვილეს ან დაშორებული არის. რე- სიების ობიექტად პანტელეი- ონ გიორგაძის ერთიან კომუნისტ- პარტიასაც წარმოაჩენდნენ — იდეური თანამოძმეები შესა- მის თანაგრძნობას უხვად გასცემენ აქაურ და იმქვეყნიურ კომუნისტურ პრესაში. საქმეში ჩაუხედავს შეიძლებოდა გასჩენოდა შთაბეჭდილება, რომ გარეთ 1937 წელია, ოღონდ შებრუნებული მაჩვენებლით. საქმეში გარკვეულმა ელექტორატმა კი ყური არ ათხოვა ამ ფიცილ-მტკიცილის და კრიმინალური და იდეოლოგიური აგრესიის მოხეტიალე ფორვარდების საწინააღმდეგოდ უპირატესობა ექსტრაკლასის შემტევ ნახევარმცველებს მიანიჭა.

ჩანს, პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებმა საქართველოში დიდი ხნით, თუ არა სამუდამოდ, პოლიტიკურ დავიწყებას მისცა ხმაურიანი ქვაზიპატრიოტული რიტორიკის დიდოსტატები. წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა უმეტესობამ ხმა მისცა იმ პარტიებს, რომლებიც მისი თვალთახედვით სიმყარესა და წესრიგს განასახიერებს. ეს არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელსაც პარლამენტში ადგილების თითქმის ნახევარი ერგო, საქართველოს აღორძინების კავშირი, რომელსაც აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე უდგას სათავეში, კარგად ორგანიზებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც არჩევნებზე შარშან დეკემბერში ტერორისტების მიერ მოკლული თავისი ლიდერის გია ჭანტურიას ეკლიანი გვირგვინით მოვიდა. დანარჩენი 50 პარტიისა და ბლოკის წარმომადგენლებმა ან ვერ გადალახეს ხუთპროცენტიანი ბარიერი ან მეორე ტურში მაჟორიტარი კანდიდატების ადგილისთვის იბრძვიან.

ედუარდ შევარდნაძის საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა ცნობილი რეჟისორი ელდარ შენგელაია, მაგრამ ნუ ეწყინება „არაჩვეულებრივი გამოფენისა“ და „შერეკილების“ ავტორს, თუ ვიტყვი, რომ საკუთარი წარმატების ჭეშმარიტი რეჟისორი თვით შევარდნაძე იყო. მას არ ემსახურებოდნენ „ნათელმხილველები“ და პროფესიონალი იმიჯმეიკერები, იგი არ ავრცელებდა ჭორებს თავისი ოპონენტების შესახებ და არ წინასწარმეტყველებდა თავის 70-პროცენტიან ტრიუმფს, როგორც ისინი აკეთებდნენ ამას, — უბრალოდ მუშაობდა. არ გაემგზავრა გაეროს საიუბილეო სესიასა და თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე, მიუხედავად ამისა, არჩევნების მეორე დღესვე გაფრინდა იერუსალიმს იცხაკ რაბინის დაკრძალვაზე და ხშირად იმეორებდა ისრაელის პრემიერის წინადადებას, რომელიც დაახსომდა იენისში მათი შეხვედრის შემდეგ: „ვერ შეიძლება ვერ მოვასწროთ დაწყებული საქმის დამთავრება, მაგრამ მას ალტერნატივა არა აქვს, და იგი გამარჯვებს. ჩვენთან ერთად, ან უჩვენოდ“.

ტერაქტების ცეცხლში ბევრი რამ გაცხადდება: ვინ არის ვინ და ვინ რად ღირს, და ვინ ვის უკან დგას.

თეიმურაზ მამალაძე.
„იზვესტია“, 1995 წლის 9 ნოემბერი.

მოვლენის კვალდაკვალ

შემოხაზეს, შემოხაზეს...

დამთავრდა „შემოხაზვის“ დიდი დღე. შემოიხაზა შემოსახაზი, გადაიშალა გადასაშლელი, დაითვალეს შემოხაზულ-გადახაზულები და ბევრი რამ გაირკვა: პირველი, გაირკვა, რომ ქართველი ხალხი არც ისე ხელწამოსაკრავი ყოფილა, როგორც ბევრს დღემდე ეგონა. არ ყოფილა ყრუ და ბრმა, მავანნი და მავანნი რომ ფიქრობდნენ, — ემანდ საკენკს დავუყრი და ანკესზე იოლად წამოეგებაო. არ დაუჯერა ხალხმა ცრუდაპირებათა ოსტატებს, არც ძალადგაპოლიტიკოსებულ პიროვნებებს. ოდნავ იყოყმანა მისი ნომრის წინაშე, ვისაც ერთ დროს ენდობოდა, მაგრამ კრიზისულ მომენტებში ახარჩევის მუხლების სიხუსტე რომ გაიხსენა, არ შემოხაზა, — არ ინდომა უნებისყოფო კაცი დაესვა პირველ კაცად.

გაირკვა ისიც, რომ საპარლამენტო და, მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნები, ძალიან, ძალიან სერიოზული საქმეა. ბევრს რომ ეგონა, ერთ-ორ „ხმეშნოი“ ამბავს ვიტყვი და ყველაფერი რიგზე იქნებაო, ასე არ ყოფილა, არჩევნებისთვის მზადება [illegible] საქმე არ გახლავთ: ყოველ პარტიას თუ გაერთიანებას, მით უმეტეს, ქვეყნის პრეზიდენტობას რომ უმიზნებს, თურმე სჭირდება თავისი გამოკვეთილი სახე, იმიჯს რომ ეძახიან დასავლეთში. ეს იმიჯი იქმნება წლობისა და წლების მანძილზე — სერიოზული, მეცნიერული, დაკვირვებული, ხანგრძლივი მუშაობით — რეალური პროგრამით, განსხვავებული, დროსთან მისადაგებული პლატფორმით, და ბოლოს, ადამიანების იმ გუნდით, რომელიც თავგამოჩენილია არა იმპულსური, ემოციური ქადაგებით, არამედ დინჯი, დაკვირვებული, ანალიზური აზროვნებით და, რაც მთავარია, თავისი საქმეებით — ხალხის, ქვეყნის სასიკეთოდ ნაკეთები კონკრეტული საქმეებით!

და მაინც: დამტკიცდა ძველი, ჩვენებური ანდაზის სისწორე: „არ გათეთრდები ყორანო, რაც უნდა [illegible]“. ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო ვერდიქტი, რომ ხელმოცარულმა პოლიტიკოსებმა თუ მათი კუდის ამწევებმა მორთეს გოდება, — ეს რა დარღვევები ვნახეთ, ეს რა უსამართლობა მოხდა, ეს რა არჩევნები იყო. ერთმა ნამინისტრალმა ისიც კი იკადრა, კანონიერი გზით თუ არ აგვირჩიეს, ქუჩის დახმარებით მოვალთო ხელისუფლებაში (?!) კი მაგრამ, ბატონებო, აღარ მოგბეზრდათ ქუჩური გამოხდომები? იქნებ საკუთარ თავში, საკუთარ იდეებს, აზრების უბადრუკობაში, მათ ყავლგასულობაში, აბსურდულობაში ეძიოთ მარცხის მიზეზი?

ერთმა გაწბილებულმა, გულღვიძლგადაწყვეტილმა, ხელმოცარულმა „კუდის ამწევმა“ უკვე იქადაგა, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ რაიონში სარკინიგზო ხაზებიც აუყრიათ პროტესტის ნიშნადო. რისი პროტესტის ნიშნად? იმისა, რომ თქვენი მოწონებული კანდიდატი პირშიჩალაგამოვლებული დარჩა? არ სურდათ მისი პრეზიდენტობა, ქალო ეუღუნა და არ დაუჭირეს მხარი. ახლა რა, ამის გამო გზები ავყაროთ, მდინარეები დავაგუბოთ და ქვეყანა დავაქციოთ?

ერთმა ნაცნობმა, როგორც ჩანს, არცთუ სუფთა წარსულის მქონე პიროვნებამ, ჩვენს გამომცემლობას ციმციმ შეუკვეთა ფერადი ბუკლეტ-პლაკატ-მოწოდებანი. ის იყო რეპროცენტრში შეკვეთის შესრულების მიმდინარეობა და ხარისხი უნდა შეემოწმებინა, რომ უთხრეს: ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შენი კანდიდატობისთვის უარი უთქვამს, საიდან ამოუღიხარ და ახლა რაღაზე იხდი ამდენ ფულს, შეკვეთა გააუქმეო...

პარლამენტის დეპუტატობის ნაკანდიდატარი სწრაფად გაეშურა თავისი „სიმართლის“ გასარკვევად, თან ღელავდა, თუ ორ საათში არ დავბრუნდი, შეკვეთას ნუ გააუქმებთო.

კიდევ კარგი, არ დაბრუნებულა, თორემ ხომ ჩაიყრებოდა წყალში ამდენი ფული, ხალხის ქაღალდი და შრომა — [illegible], კენჭისყრას რომ აპირებდა ჩვენი ნაცნობი, ახლოსაც არ გაკარებია 5-პროცენტიან ნიშნულს.

და ვინ იცის, რამდენი ასეთი ხელმოცარული, ყურებჩამოყრილი პრეტენდენტი დაბოტებს დღეს საქართველოში. თან ილანძღება, იგინება, ბოლმას და ბალღამს ანთხევს: — ეს რა არჩევნები იყო, ჩვენ რა, ხალხი არა ვართ, უჩვენოდ როგორ იქნება ეგ საქმეო?

თქვენ კი იცით, ჩვენო მკითხველო, რომ გარდასულ არჩევნებში კენჭს იყრიდა უამრავი პრეტენდენტი — ხანდახან ერთ ადგილზე 80 კაცი მოდიოდა. დიდი კონკურსი იყო — სამედიცინო ინსტიტუტში რომ იცის, სწორედ ისეთი.

ბიჭო, ქალო, ბატონო, ქალბატონო! ხომ გაგიგონიათ — მოგება და წაგება ძმები არიანო. პოდა, ნუ დაიდარდებთ, ისწავლეთ მარცხთან შეგუებაც — ცივილურად, კეთილშობილურად, ვაჟკაცურად.

...ჩემს საარჩევნო უბანში, ასე, დილის 11 საათზე, ორი ენერგიული ახალგაზრდა შემოვიდა. მიდგნენ-მოდგნენ და მკვახედ, ხმამაღლა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ საარჩევნო კაბინებში ზოგიერთ ამომრჩეველს ორ-ორი სუფთა ბიულეტენი დაუტოვებია. იჩქარებოდნენ ტელეფონისკენ — ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაუყოვნებლივ უნდა შევატყობინოთო. შეკითხვაზე, რომელ კაბინაში ნახეს ასეთი რამ, ენერგიულმა ბიჭებმა გვიპასუხეს: — ამ საარჩევნო უბანში არა, სხვაგან ვნახეთო...

კი მაგრამ, დალოცვილებო, იქ რა, ტელეფონი არ ჰქონდათ, თუ რატომ მაინცდამაინც აქედან უნდა ატეხოთ რეკვა-მეთქი, რომ ვუთხარი, შეცხნენ და გაწბილებულებმა ბუზღუნ-ბუზღუნით დაგვტოვეს.

რატომ ბუზღუნებენ, ილანძღებიან, იგინებიან და იმუქრებიან კიდეც [illegible]?

ალბათ, სწორია ჩვენი ბრძენი ხალხი, ზემოთნახსენები ანდაზა რომ მოიგონა...

დამთავრდა „დიდი შემოხაზვა“ და ამ შემოხაზვით ხალხმა ერთხელ კიდევ „მოუხაზა“ [illegible] პოლიტიკოსებს, [illegible] სავარძლების მაძიებლებს, ვითომ პატრიოტებს, ვაიპოლიტიკოსებს [illegible] გზით ფონს გასვლის მოყვარულებს და მათი კუდების ამწევებს. მადლობა ღმერთს, რომ ქართველი ხალხი მართლაც ბრძენი ყოფილა და არც ისე იოლია მისი გაცურება. მან ჭკუა ისწავლა!

ანზორ ბასილაია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რუსეთი:

წინასაარჩევნო კამპანია კრიტიკულ ფაზაში შევიდა

რაც უფრო ახლოვდება რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის — სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების თარიღი — 17 დეკემბერი, მით უფრო დიდი და დაძაბული ყურადღებით (შეიძლება ითქვას, შეშფოთებით) ადევნებს თვალს დემოკრატიული მსოფლიო მოვლენათა განვითარებას რუსეთში. ურთულესი, დაძაბული, არასტაბილური ვითარება, რომელიც პოსტსაბჭოურ სივრცეში შეიქმნა (საბჭოთა კავშირის მოულოდნელი დანგრევით), უმძიმესი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის წინაშე აღმოჩნდა უკლებლივ ყველა ყოფილი რესპუბლიკა, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, დამკვიდრებული ფასეულობების გადაფასების უმწვავესი პროცესები დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, წამყვან ქვეყნებში იწვევენ შიშს, რომ გარკვეული იმპერიული ძალები ისარგებლებენ მრავალმხრივ ქაოსური სიტუაციით, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მასების ნეგატიური რეაქციით და შეეცდებიან, უკუღმა დაატრიალონ ისტორიული განვითარების ჩარხი, რომ ამის რეალური ნიშნები რუსეთში მკაფიოდ გამოჩნდა.

დაქსაქსულმა დემოკრატიულმა ძალებმა რუსეთში ბევრი და მძიმე შეცდომა დაუშვეს საბჭოთა კავშირის დანგრევის წინ და ბელოვეჟის ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ. ვერა და ვერ შეძლეს გაერთიანება, გააზრებული, დასაბუთებული, თანამიმდევრული, რეალისტური პროგრამის შემუშავება. ნებით თუ უნებლიედ, ხელი შეუწყვეს უკიდურესი ნაციონალისტური ქვენა გრძნობებისა და სეპარატისტული განწყობილებების გაღვივება-აფეთქებას. ვერ შეძლეს ფართო მასების დარწმუნება, რომ მათ ნამდვილად შესწევთ უნარი, და გააჩნიათ ძალა, ზემოქმედება მოახდინონ უმაღლეს ეშელონებში გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ერთი სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემიდან მეორეზე გადასვლის გარდამავალ ქაოსურ, რბილად რომ ვთქვათ, არასტაბილურ ვითარებაში (რაც უკიდურესად გაამწვავა წინასაარჩევნო კამპანიამ რუსეთში), ახლა ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ ქვეყნის ფაქტობრივად დაქსაქსული დემოკრატიული ძალები კიდევ უფრო მძიმე დარტყმას არ მიიღებენ არჩევნებში და ბევრად ნაკლებ დეპუტატს გაიყვანენ 17 დეკემბერს არჩეულ ქვეყნის ახალი პარლამენტის ქვედა პალატაში — სახელმწიფო სათათბიროში, ვიდრე ამჟამად.

როგორც აღვნიშნეთ, სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი პერსპექტივა დასავლეთის დემოკრატიული წრეების, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების გარკვეულ შეშფოთებას იწვევს.

რუსეთში, ბოლო ხანებში, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის სახელმწიფო სათათბიროსა და საპრეზიდენტო არჩევნების გადავადების მოწოდება, სახელმწიფო სათათბიროში შეაგროვეს ხმები, გადაისინჯოს სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კანონი, რათა პოლიტიკური პარტიებისათვის სათათბიროში დეპუტატების გაყვანის 5-პროცენტიანი ბარიერი 2-2,5 პროცენტამდე დასწიონ, რაც, ბუნებრივია, საშუალებას მისცემს დაქსაქსულ დემოკრატიულ ძალებს, თავისი წარმომადგენლები გაიყვანონ სახელმწიფო სათათბიროში. ახლა, რუსეთის უზენაესი საბჭოს წარდგინებით, ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საკითხს, თუ რამდენად შეესაბამება სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კანონი ქვეყნის კონსტიტუციას.

თუ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი გაჭიანურდა, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები გადაიდება ან კიდევ ორი წლით გაუგრძელდება სათათბიროს თავისი უფლებამოსილებების ვადა, რაც დღის წესრიგში ავტომატურად საპრეზიდენტო არჩევნების გადადების საკითხსაც დასვამს.

შექმნილ ვითარებაში რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის — ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმირ შუმეიკო კვირას მოსკოვის ცენტრალურ საავადმყოფოში შეხვდა პრეზიდენტ ბორის ელცინს, რომელიც, როგორც აღნიშნავენ, თავს სულ უფრო და უფრო უკეთესად გრძნობს. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს, შუმეიკომ განუცხადა, რომ პრეზიდენტის აზრით, სახელმწიფო საბჭოს არჩევნები, როგორც ეს დაგეგმილი იყო, 17 დეკემბერს უნდა გაიმართოს. ამასთანავე, დასძინა შუმეიკომ, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საარჩევნო კანონს არ უნდა ჰქონდეს ხარვეზები, რომლებიც კონსტიტუციასთან მის შესაბამისობას, საეჭვოს გახდის. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო სათათბიროს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კანონში რაიმე ცვლილებების ნაჩქარევი შეტანის წინააღმდეგია. ამ კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლაი რიაბოვმა გაზეთ „კრასნაია ზვეზდასათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თუმცა, არსებული კანონი არ არის სრულყოფილი, „მაგრამ იგი მუშაობს და იძლევა საპარლამენტო არჩევნების 17 დეკემბერს ჩატარების საფუძველს“. კვირას, სახელმწიფოს სათათბიროს სპიკერმა ივანე რიბკინმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო (რომელიც იხილავს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს), გადაწყვეტილებას 14 ნოემბერს, გვიან, ღამით მიიღებს.

როგორც ვხედავთ, რუსეთის პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია კრიტიკულ ფაზაში შედის.

ირაკლი ჯაფარიძე.

არჩევნები აზერბაიჯანში

კვირას აზერბაიჯანში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები და რეფერენდუმი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შესახებ. მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დაახლოებით 80 პროცენტმა. წინასწარი მონაცემებით, ახალ კონსტიტუციას ხმა მისცა ამომრჩეველთა დაახლოებით 60 პროცენტმა, რაც საკმარისია ძირითადი კანონის მისაღებად. არჩევნების მსვლელობას 100-ზე მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი დაესწრო.

დამთავრდა თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრა ოკლენდში

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში დამთავრდა თანამეგობრობის (რომელშიც დიდი ბრიტანეთი და მისი ყოფილი კოლონიები და დომინიონები შედიან) 52 წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრა. მონაწილეთა მიერ მიღებულ შემაჯამებელ კომუნიკეში დაგმობილია ბირთვული გამოცდები და ხაზგასმულია, ის ფაქტი, რომ შეაჩერეს ნიგერიის წევრობა თანამეგობრობაში, როგორც პროტესტი ამ ქვეყანაში 9 თვალსაჩინო სამართლისდამცველთა სიკვდილით დასჯის გამო. შეხვედრაზე, „როგორც საგანგებო გამონაკლისი“ მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება — თანამეგობრობაში პორტუგალიის ყოფილი კოლონიის მოზამბიკის მიღების შესახებ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა უარი განაცხადა მხარი დაეჭირა ბირთვული გამოცდების დაგმობისათვის, თუმცა ამის თაობაზე დოკუმენტში კონკრეტულად არ არის დასახელებული არც საფრანგეთი და არც ჩინეთი, რომლებიც ასეთ გამოცდებს აგრძელებენ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინფორმაცია

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი განმარტავს

საქინფორმის კორესპონდენტს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ ბოლო ხანს პრესითა და ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია მცოცავი ჯავშნის გამოცდის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობის ზოგიერთმა პირმა და მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებამ გაზვიადებულად მიაწოდა საზოგადოებას ინფორმაცია ზემოხსენებული ფაქტის შესახებ, თითქოს ამ სახის ჯავშანს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს ის ფაქტი, რომ 8 ნოემბერს სამხედრო პოლიგონზე განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „დელტას“ სპეციალისტების მიერ შექმნილი მცოცავი ჯავშნის გამოცდა, რომელმაც ცხადყო, რომ ახალი ჯავშანი გარკვეულ პოზიციაში მართლაც ეფექტიანია ყუმბარმტყორცნისა და ქვემეხის წინააღმდეგ. შემდგომმა მეცნიერულმა და პრაქტიკულმა მუშაობამ მისი გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის შეიძლება მაღალი შედეგებიც გამოიღოს, მაგრამ დღესდღეობით თქმა იმისა, რომ ახალ ჯავშანს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება, გადაჭარბებულია.

გაიხსნა ჩაკეტილი გზის მონაკვეთი

11 ნოემბერს საქართველოს სამხედრო გზის მლეთა-კობის მონაკვეთზე ზვავების შედეგად შექმნილი სიტუაციის სალიკვიდაციოდ მობილიზებულია მცხეთა-მთიანეთის მხარის ადმინისტრაცია. შექმნილია ოპერატიული შტაბი სახელმწიფოს რწმუნებულის შალვა ოგბაიძის ხელმძღვანელობით, რომელიც მესამე დღეა იმყოფება კობში და ხელმძღვანელობს სალიკვიდაციო სამუშაოებს. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ კონცერნ „საქავტოგზის“, საგზაო პოლიციის, ჯანდაცვის და კავშირგაბმულობის მუშაკები.

წინასწარი მონაცემებით, ჩაკეტილი გზის მონაკვეთი გუშინ უნდა გახსნილიყო.

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახური.

შეტანილია სახელმწიფოს ფონდში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ გაარკვია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „უზბა“ სახელმწიფოს უმალავს გარკვეულ ფულად სახსრებს. დადგენილია „უზბის“ ხელმძღვანელის პიროვნება, იგი გამოდგა 1958 წელს დაბადებული ანატოლი ფიფია. მას ჩამოერთვა 11.889 ლარი და 49 თეთრი. ეს თანხა შეტანილია სახელმწიფოს ფონდში.

ააფეთქეს ანძა

საქინფორმის კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ 12 ნოემბერს, 01 საათზე ქარელის რაიონის სოფელ დირბის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის „ქართლის“ საყრდენი ანძა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება.

იმედი ხვალის

...მაინც საქართველოში დავბრუნდები

ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, სად იმუშავებს — თბილისსა თუ ლონდონში, მაგრამ — „თუ ისევ ლონდონს მომიწია წასვლა, ამჯერად სამუშაოდ, რამდენიმე წელიწადში მაინც ისევ საქართველოში დავბრუნდები“,— ამბობს ზურაბ ჯავახიშვილი.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ ვახსენეთ ლონდონი.

1989 წლის თებერვალში საქართველოში ჩამოვიდა ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლონდონის „საუთ ბენკ პოლიტექნიკის“ დირექტორი ქალბატონი პოლინ პერი, იგი მაშინდელი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტით (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) დაინტერესდა. რექტორის გოჩა ჩოგოვაძისა და მისი თაოსნობით ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის დაიდო თანამშრომლობის 4-წლიანი ხელშეკრულება, რომელიც სამთავრობო დონეზე დადასტურდა.

ამ ხელშეკრულების მიხედვით ლონდონის ინსტიტუტი სპი-დან მიიღებდა განსაკუთრებით ნიჭიერ ათ-ათ ასპირანტს, შეუქმნიდა სწავლისა და ცხოვრების ნორმალურ პირობებს და, თუ საჭირო იქნებოდა, შემდგომშიც ითანამშრომლებდა მათთან.

ასე უხვად გაღებული სახსრების მიზანშეწონილობა ქ-მა პერიმ ქართველი ასპირანტებისგან ორიგინალური იდეების მიღების შესაძლებლობით. ახსნა, როგორც აღმოჩნდა აქ, თბილისში, საკმაოზე მეტი იყო ორიგინალური მეცნიერული მასალა და თანაც არა მარტო იდეის დონეზე.

1989 წლის შემოდგომაზე სხვადასხვა სპეციალობის 10 ასპირანტი — ბესიკ კობალაძე, ბესარიონ აბულაძე, გურამ გაგნიძე, გიორგი ქსოვრელი, დავით ჩხეიძე, ოთარ სვანიძე, გურამ რუხაძე, ზურაბ ჯავახიშვილი, იური ბახტაძე და ზურაბ გურგენიძე ლონდონს გაემგზავრნენ. მაშინ ამის შესახებ დაიბეჭდა კიდეც რესპუბლიკის პრესაში. ეს ახალგაზრდები გავაცილეთ იმედით, რომ საქართველოს დიდი კულტურისა და მდიდარი ტრადიციების გამგრძელებელნი იქნებოდნენ, მაქსიმალურად გამოიყენებდნენ დროს და სამშობლოს ჩინებულ სპეციალისტებად დაუბრუნდებოდნენ. ეს ნაბიჯი უაღრესად დროული და პერსპექტიული იყო.

როცა სტაჟირების ვადა ამოიწურა, ზოგი მუშაობის გასაგრძელებლად შინ დაბრუნდა, სამ მათგანს კი, რომელთა სამეცნიერო თემატიკა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, შესაძლებლობა მიეცა რეგისტრაცია გაევლოთ სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად და დასაცავად. მათ შორის იყო ზურაბ ჯავახიშვილიც.

„სტაჟირების დამთავრებამდე ორი თვით ადრე, სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, ლონდონში სხვებთან ერთად მიიწვიეს ჩემი თბილისელი ხელმძღვანელი — გვეუბნება ზურაბი. — ინგლისელ თანახელმძღვანელთან შეთანხმებით, ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად, გაფართოვდა და დაზუსტდა ჩემი თბილისური სამეცნიერო თემა, გადაწყდა სამუშაოს შესრულება ორ ეტაპად: თბილისში თეორიული ნაწილის დამუშავება, ხოლო ლონდონის უნივერსიტეტის მძლავრ გამოთვლით ცენტრში — პრაქტიკული რეალიზაციები. გასაანგარიშებელ ობიექტად შეირჩა ლონდონის ამჟამად მშენებარე სატრანსპორტო კვანძები — გვირაბების, საყრდენი კედლებისა და სხვა მიწისქვეშა ნაგებობათა კომპლექსი. თავისი მასშტაბით უნიკალურ ამ ნაგებობათა ალტერნატიული გაანგარიშების შედეგებით დიდად არიან დაინტერესებული ლონდონის მუნიციპალიტეტი და შესაბამისი საპროექტო ფირმები.

— თბილისში ორი წლის განმავლობაში ჩვენი დაძაბული მუშაობის შედეგად შეიქმნა ახალი ორიგინალური ალგორითმი ნაგებობათა გაანგარიშებებისათვის დღესდღეობით ორი ყველაზე პოპულარული რიცხვითი მეთოდების დადებითი თვისებების გაერთიანებისა და სინთეზის საფუძველზე დამუშავდა შესაბამისი პროგრამული პაკეტები. პერსონალურ კომპიუტერზე შესრულებულმა ტესტებმა გამოავლინა მათი დიდი ეფექტიანობა, როგორც მანქანური დროის დაზოგვის, ისე გაანგარიშების სიზუსტის თვალსაზრისით. ინგლისში სისტემატურად იგზავნებოდა შესრულებული სამუშაოს ანგარიში. 1994 წელს დავბრუნდი ლონდონში გაანგარიშებათა ჩასატარებლად და დისერტაციის გასაფორმებლად — გვიამბობს ზურაბი.

მან სპი-ს სამშენებლო ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა სამრეწველო-სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით, რამაც საშუალება მისცა იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩაებარებინა ასპირანტურაში სამშენებლო მექანიკოსის სპეციალობაზე. მეორე კურსზე იყო, როცა აღნიშნულ ათეულში მოხვდა.

ამას წინათ კი, როგორც ინსტიტუტიდან გვაცნობეს, ზურაბ ჯავახიშვილმა ლონდონის „საუთ ბენკ პოლიტექნიკის“ ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სასრულ და სასაზღვრო ელემენტთა შერწყმული მეთოდის გამოყენება გეოტექნიკის ამოცანებში“ და ტექნიკის დარგში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოპოვება.

— **ამჟამად რას საქმიანობთ?** — ვეკითხები ზურაბს.

— ჩემი „იქაური“ კათედრა საინჟინრო და სამეცნიერო საბჭოსათვის ამზადებს წარსადგენ ანგარიშს, მეც ჩართული ვარ ამ ანგარიშის შესრულებაში.

ფაქტობრივად ეს არის ჩემი დისერტაციის ნაწილი.

— **ვინ იყო თქვენი დისერტაციის ხელმძღვანელი?**

— თბილისში სამშენებლო მექანიკის კათედრის გამგე პროფესორი მერაბ ყურაშვილი, იგი ჩემი თემის ხელმძღვანელია 1987 წლიდან. ლონდონში კი — პროფესორი ლორენს ვუდი. ბატონი მერაბი უწინარესად მეგობარია, შემდეგ კი — მოძღვარი. მოწაფეები განსაკუთრებით ვაფასებთ როგორც დარგის საუცხოო სპეციალისტს, პერსპექტივის განჭვრეტის საოცარი უნარის მქონე ადამიანს. ბატონი მერაბი კვალიფიციურ მეცნიერულ ხელმძღვანელობასთან ერთად ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაშიც მეხმარებოდა, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ჩამოვედი და ახლა ჩემს სამსახურში მოწყობაზე ზრუნავს.

ადრე, სტუდენტთა მეცნიერული ნაშრომების საკავშირო კონფერენციაზე, რომელშიც უმაღლესი სასწავლებლის 900-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარგზავნილები სისტემატურად პირველობდნენ და გამარჯვებულთა შორის ყოველთვის იყვნენ მერაბ ყურაშვილის სტუდენტებიც, რისთვისაც, როგორც კათედრის გამგე და როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი, არაერთგზის დაუჯილდოებიათ (მათ შორის — ავტომანქანითაც).

ერთ-ერთი მაშინდელი გამარჯვებულთაგანი ზურაბიც იყო. პროფესორი ამაყობს თავისი მოწაფით — „ზურაბი სტუდენტობის წლებიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით. მისი საკანდიდატო დისერტაცია ინგლისში წასვლამდე თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ მან ახალი, გაცილებით რთული მიზანი დაისახა და წარმატებას მიაღწია. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ტექნიკის დარგში, ენის სრულყოფილ ფლობასთან ერთად, მას შესაძლებლობას აძლევს უმაღლესი თანამდებობები დაიკავოს ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტეტსა თუ შესაბამისი პროფილის ფირმაში.

უნდა მოიხსნას ყოველგვარი, მათ შორის ფსიქოლოგიური ბარიერიც იმისათვის, რომ ჩვენს ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდებს საშუალება მიეცეთ ისწავლონ და იმუშაონ საზღვარგარეთის ცნობილ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში. ამისათვის საჭიროა ჩვენს უმაღლეს სკოლაში მიმდინარე გარდაქმნებს მიეცეს უფრო ღრმა, ძირფესვიანი ცვლილებების ხასიათი, რათა მოხდეს მისი ორგანიზებული ჩართვა დასავლური განათლების სისტემაში. ეს საკითხი თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ არცერთ სხვა პრობლემას და საინფორმაციო საშუალებების მხრიდან იმსახურებს გაცილებით უფრო სერიოზულ, სისტემურ ყურადღებას. საქართველოს ბედი მაღალი ზნეობის, განათლებული და თავის საქმეში მსოფლიო სტანდარტების დონის სპეციალისტების ხელში უნდა იყოს.

ბელა დურგლიშვილი.

სურათზე: ზურაბ ჯავახიშვილი და პროფესორი მერაბ ყურაშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სუს... ავტორიტეტს იძენს



„სუკის აგენტი“ — საქართველოში ტყვიასავით მომაკვდინებელი, შეურაცხმყოფელი სიტყვა თანდათან ძალას კარგავს. დღითიდღე „სახესა“ და „სახელს“ იცვლის ბრალდების სუბიექტი. ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფაში წვლილის შეტანა რომ საპატიო საქმედ იქცა, ამის დასტურია სახელმწიფო უშიშროების სამსახურის აკადემიისაკენ ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა.

უშიშროების კადრების სამჭედლოში, სადაც პედაგოგებად მოწვეული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, უკვე 250-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს, მდიდარი ინტელექტი, მაღალი კულტურა, შრომისმოყვარეობა, შინაგანი დისციპლინა —აი, ის აუცილებელი პირობა, რაც აქ სწავლის მსურველს მოეთხოვება. აკადემიაში, სადაც პროფესიის დაუფლების ყველა პირობაა შექმნილი, რექტორის გიორგი ერისთავის ენთუზიაზმისა და ყოველი კარგი ინიციატივისადმი მხარდაჭერის წყალობით საინტერესო და მრავალფეროვანია კურსანტთა ყოველდღიური ცხოვრება.

არის უჩვეულო დღეებიც. მათ შორის აღსანიშნავია პირველკურსელთა მხედრული ფიცის მიღებაც. ახლახან ეს ზეიმი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ თანამშრომელთა ხსოვნას და მათი დიდების მემორიალის გახსნას დაუკავშირდა.

— ახალგაზრდობა ქვეყნის ძალა და ღონეა, ხვალის იმედია. ამასთან იგი ნაზი ყვავილია, რომელიც მალე ჭკნება და კარგავს სურნელებას, თუ მას უფროსი თაობის მუდმივი ზრუნვის, ყურადღების, ცოდნა-გამოცდილების შუქი არ ადგას. დიდი ილიას ამ სიტყვებით რექტორმა გიორგი ერისთავმა ახალგაზრდებსაც და პედაგოგებსაც კიდევ ერთხელ შეახსენა, უწმინდესი მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე.

აკადემიის კურსანტთა ზეიმს დაესწრო სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ იოსელიანი.

ლეილა კოშკაძე.

სურათზე: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ამინდი

14 ნოემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ნალექი, მთებში თოვლი, იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0 +5, დღისით +2 +7, მთაში ღამით —1 —6, დღისით —3 +2, მაღალ მთაში — ღამით —3 —8, დღისით 0 —5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ნალექი, უმეტესად თოვლის სახით, გუდაური-კობი-ლარსის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა, იქროლებს წამში 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით —4 +1, დღისით +3 +8, მთაში ღამით —3 —8, დღისით 0 —5, მაღალ მთაში ღამით — —6 —11, დღისით — —3 —8 გრადუსი.

ბორჯომის ხეობასა და სამცხე ჯავახეთში — ღამით —3 —8, დღისით 0 —5, მაღალ მთაში — ღამით —6 —11, დღისით —3 —8 გრადუსი.

შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე მოსალოდნელია ზოგან ნალექი, იქროლებს წამში 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ღამით —4 +2, დღისით +2 +7 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, იქროლებს წამში 9-14, ქალაქის გარეუბანში 17-22 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ღამით —1 +1, დღისით 6-8 გრადუსი სითბო.

ჩოგანი

გაკვეთილი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი

ტურნირის ჯგუფური შეხვედრა

საქართველო — ისრაელი — 84:89 (44:38)





სტუმრები თბილისს ორი წამყვანი კალათბურთელის — შეფერისა და გუდესის გარეშე ეწვივნენ. მათი ძალა სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი, თუმცა ისრაელის ნაკრები სწორედ იმით გამოირჩევა, რომ სრულფასოვანი შემადგენლობა ჰყავს და თითოეულ ოსტატს პირადად შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. ასე მოხდა ამჯერადაც — კრიტიკულ ვითარებაში ლიდერის როლი ჯამჩიმ იტვირთა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში (25 ქულა). მანამდე კი...

შეხვედრის დაწყების წინ დედაქალაქის სპორტის სასახლეში შეკრებილმა 10000 მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპული ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის ხსოვნას. შემდეგ ჩვენი თანამემამულე, ისრაელის პარლამენტის წევრი ეფრაიმ გური (გურიელაშვილი) მიესალმა საზოგადოებას, და მატჩიც დაიწყო.

დებიუტი კარგს არაფერს უქადდა მასპინძლებს — მეხუთე წუთზე სხვაობამ სტუმართა სასარგებლოდ 7 ქულას მიაღწია— 16:9. ბესიკ ლიპარტელიანმა ბრძოლაში თანდათან „ძველი გვარდია“ ჩაება — მოედანზე გამოვიდნენ სანაძე, დერიუგინი, ვაშაკიძე. მათი, აგრეთვე ქარაბაკისა და სტეფანიას ძალისხმევით საქართველოს ნაკრებმა გარდატეხა შეიტანა თამაშში და შესვენებამდე ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია. ჩვენმა გუნდმა დროის ამ მონაკვეთში რამდენჯერმე 10-11 ქულიან უპირატესობას მიაღწია, ტაიმი კი საბოლოოდ 6 ქულით —44:38 მოიგო.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მეორე ტაიმში — სტუმრებმა მაღალი კლასით, გამოცდილებით, უკეთესი ფიზიკური მომზადებით, დაცვაში უმკაცრესი, მჭიდრო თამაშითა და ცალკეულ კალათბურთელთა, განსაკუთრებით კი ჯამჩის ინდივიდუალური ოსტატობით, შესარჩევ ტურნირში მეორე გამარჯვება მოიპოვეს 89:84.

მასპინძელთაგან ამ დღეს ყველაზე შედეგიანები სანაძე და სტეფანია იყვნენ — 15-15 ქულა.

ხვალ საქართველოს ნაკრები მორიგ შეხვედრას მინსკში ბელარუსის გუნდთან გამართავს.

გია პლატონიშვილი.

სურათებზე: საქართველო-ისრაელის მატჩის მომენტები.

ვარლამ ბენზიაურის ფოტო.

გახსენება

ელგა ლიზრაძე

ჩვენო მუდამ საყვარელო, სანატრელო ელგა, 16 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, დღეს შენ 17 წლის ხდები, ჩვენთვის კი ისევ 11 წლის პატარა გოგონა ხარ.

ამ დღეს ყოველთვის დიდი მღელვარებით ვხვდებით, რადგან ველოდებით შენს თანაკლასელებს, რომლებიც ყოველწლიურად სწორედ ამ დღეს გვესტუმრებიან ხოლმე. ასე გვგონია შენც მათთან ერთად შემოაბიჯებ შენს სახლში, იმხიარულებ და იკისკისებ შენი წკრიალა ხმით.

ელგა! შენი საყვარელი პირველი საშუალო სკოლა შენი უდროო წასვლის შემდეგ სულ მალე დაინგრა და ფერფლად იქცა, მაგრამ წელს ისევ აღსდგა, უფრო ლამაზი და მშვენიერი და შენი მეგობრებიც მშობლიურ სკოლაში დაამთავრებენ სწავლას. სკოლის დამთავრების ალბომში შენს სურათსაც ჩააკრავენ. შენი პატარა დაიკო, რომლის დაბადებას შეჰხაროდი, წელს მიდის ამ სკოლაში და შენს ყოფილ მერხს მიუჯდება.

შენ სულ ჩვენთან ხარ — დედასთან, მამასთან, დებთან, ამხანაგებთან და ყველასთან, ვინც გიცნობდა. ჩემთვის, მამაშენისთვის, აქ შენი ლამაზი სასაფლაო, ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადგილია.

შენი მოსიყვარულე მამა.

მიშა გეგენავა ოჯახით, ჯოდორ დადიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოეტი და მასწავლებელი

ტერენტი ვასილის ძე ყიფიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მეუღლე ნათელა ბარათაშვილი, შვილები კოკა, სოსო, დედა ლილი, ძმა მერაბი, რძალი თამრიკო შევარდნაძე, სიდედრი ლუბა ჯაფარიძე, ცოლისდები რუსუდან, ქეთევან, ქვისლები ფრიდონ ლოლაძე, ვახტანგ ნონიკაშვილი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაალ კარლოს ძე მამულაიშვილი

პანაშვიდი 16, 17 XI, 15 ს., გამოხვენება 18 XI, 14 ს., დიდი დიღომი, I მიკრორაიონი, იოანე პეტრიწის 16 ა.

დედა მარიამი, მამა გიორგი, მეუღლე ლამარა გურაშვილი, შვილი გია, რძალი მაია გეგია, შვილიშვილები გიორგი, სანდრო, დები ნანი არაყიშვილი, ნინელი გოგოსაშვილი, მძახალი კარლო გეგია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერა გიორგის ძე მელაშვილი

პანაშვიდი 14, 15 XI, 4 ს., დაკრძალვა 16 XI, 13 ს., ქ. გურჯაანი, კიკვიძის 10.

დედა თალიკო, მამა სამსონი, მეუღლე ლალი მელიქიშვილი, ძმები ნოდარი, გიორგი, რძლები თეა, ია, მამიდა ეუნია, დეიდა თინა, ბიძები ოთარი ნაფეტვარიძე, ნოდარი მამფორია, სიდედრი გულიკო მელიქიშვილი, ცოლისდა დალი, ცოლისძმა ბადრი, ბიცოლები, ბიძაშვილები, მამიდაშვილი, დეიდაშვილი იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

კობა სამსონის ძე ნაფეტვარიძე

პანაშვიდი 13, 14 XI, 15 ს., დაკრძალვა 15 XI, 14 ს., გურამიშვილის გამზირი 38, I სადარბაზო, მეტრო სადგური „გურამიშვილი“.

1995 წლის 13 ნოემბერს შედგა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესია, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0.9343	ლარი
ავსტრიული შილინგი	0.1259	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1.9888	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0.4309	ლარი
გერმანული მარკა	0.8861	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0.7914	ლარი
დანიური კრონი	0.2285	ლარი
1000 იტალიური ლირა	0.7910	ლარი
კანადური დოლარი	0.9311	ლარი
ნორვეგიული კრონი	0.2014	ლარი
აშშ დოლარი	1.2600	ლარი
ფინური მარკა	0.2955	ლარი
ფრანგული ფრანკი	0.2573	ლარი
შვედური კრონი	0.1886	ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1.0995	ლარი
10 იაპონური იენი	0.1233	ლარი
ეკიუ	1.6287	ლარი
10 ესპანური პესეტა	0.1029	ლარი
100 ბერძნული დრაქმა	0.5382	ლარი
ირლანდიური გირვანქა	2.0324	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0.1953	ლარი
კუვეიტური დინარი	4.1993	ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0.7869	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0.8444	ლარი
სინგაპურული დოლარი	0.8917	ლარი
10 000 თურქული ლირა	0.2424	ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0.3715	ლარი
1000 რუსული რუბლი	0.2500	ლარი
ლიტვური ლიტი	0.2826	ლარი
ლატვიური ლატი	2.0743	ლარი
10 ესტონური კრონი	0.9938	ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0.6325	ლარი
10 ყაზახეთის ტენგე	0.1776	ლარი
მოლდავეთის ლეი	0.2493	ლარი
ყირგიზეთის სომი	0.1041	ლარი
10 000 ბელორუსიის მანეთი	0.9875	ლარი
10 უზბეკეთის სუმი	0.3345	ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0.2525	ლარი
100 სომხური დრამი	0.2795	ლარი

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.

კომპ. საზ. „ჯამბოს“ მმართველი გელა გელაშვილი ამჟამად იმყოფება ბულგარეთში და ეწევა ბიზნესის საქმიანობას, რათა დროულად, ა/წლის ბოლომდე გადაიხადოს მეანაბრეთა დარჩენილი ძირითადი ხამოცი ათასი დოლარი.

განმცხადებელი დედა **ეთერ გელაშვილი.**

ნაძალადევის რ-ნი, თემქა, მე-3 მ/რ, 21-ე კორპუსი, ბინა 87.

გთავაზობთ!!!
A·4 და A·3 ფორმატის საწერ, საბეჭდ და ქსეროქსის
ქაღალდს; სახაზავ პერგამენტს.
უნაღდო ანგარიშსწორებით, ადგილზე მიწოდებით.
38·91·64

მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი

გამომცემელი - შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ც. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 68484. ტელ: 99-73-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.